აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

2018 წელს შესრულებული სამუშაოს
ანგარიში

2018 წელი

განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, თავისი სამოქმედო არეალით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ სფეროებში, აძლიერებს და ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის სმთავრობის ძალისხმევას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერას ფართომასშტაბიანი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების გზით.

თავისი აქტივობებით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერითა და განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სამინისტრომ, საანგარიშო პერიოდში განახორციელა ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით.

<u>პრიორიტეტის დასახელება:</u> ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

<u>პროგრამის დასაბუთება:</u>

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და ქვეყნის განვითარებაში რესურსების ინვესტირებაა. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას აფხაზეთის 13 საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე-გალის რაიონში განთავსებულ 30 საშუალო სკოლაში. სამინისტრო მოწოდებულია ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო პირობები და გარემო, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შესაძლებლობების სათანადოდ წარმოჩენას, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესს და სხვ.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- სამშვიდობო კულტურის დანერგვისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება აფხაზეთის საჯარო სკოლებში.
- სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
- გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა.
- მოსწავლეებისა და პედაგოგების პრობლემების იდენტიფიცირება.
- განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა.
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების გატარება და სხვ.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- განათლების ხელშეწყობის პროგრამა - **0604**
- გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი **06 09**)
- სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა **- 06**

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, **2018 წელს განხორციელდა** შემდეგი ქვეპროგრამები და აქტივობები:

1. გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

პროგრამის დასაბუთება:

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთში დარჩენილ მოქალაქეებს რთულ პირობებში უხდებათ ყოფნა. ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას სეპარატისტული ხელისუფლებისა და საოკუპაციო ძალების მხრიდან. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, გალის რაიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, რომელთა პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები მაქსიმალურად ცდილობენ გაატარონ საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკა და არ ჩამორჩნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც, ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ ჩვენი

სახელმწიფოს მხრიდან როგორც მორალურ მხარდაჭერას, ასევე კონკრეტულ დახმარებას.

პროგრამის აღწერა:
პროგრამის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა.

შედეგი:
გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) **8** სკოლამდელი აღზრდისა და **5** სახელოვნებო სკოლის პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების **152** ბენეფიციარი: პედაგოგი - **78**, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - **74**.

ბიუჯეტი: 280 800 ლარი.
ხარჯი: 274 080 ლარი.

2. <u>„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“</u>
(პროგრამის კოდი 06 04 02)

პროგრამის დასაბუთება:
სამწუხაროა, რომ აფხაზეთიდან დევნილ მრავალ ოჯახს დღესაც უწევს ცხოვრება მძიმე პირობებში, ზოგს კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში, ზოგსაც ქირით. ბევრი მათგანი არაა დაკმაყოფილებული სამუშაო ადგილებით და მათი შემოსავლისა და არსებობის ძირითად წყაროს დღესაც წარმოადგენს სახელმწიფო შემწეობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა იმისა, რომ გააგრძელონ სწავლა-განათლება, რის გამოც იძულებულნი არიან საგანმანათლებლო პროცესი შეწყვიტონ საერთოდ ან გარკვეული დროით (აფორმებენ აკადემიურ შვებულებას).

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამა წარმოადგენს სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებას. მისი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთრი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

შედეგი:
2018 წლის განმავლობაში განხილულ იქნა 216 განცხადება. პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 184 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

ბიუჯეტი: 90 000 ლარი.
ხარჯი: 89999.25 ლარი.

3.,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 01)

პროგრამის დასაბუთება:
აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოიყოფა თანხა სასწავლო პროცესისათვის, სასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების,თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამა წარმოადგენს სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებას და მისი მიზანია სკოლების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასაც.

შედეგი:
პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას მასალების შეძენის მიზნით გამოეყო **2395,93ლარი;**

ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას მასალების შეძენის მიზნით გამოეყო **1998.50 ლარი** და ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო მასალების შესაძენად **3000 ლარი.**

აფხაზეთის N2 საჯარო სკოლას გამოეყო 1823 ლარი და 30 თეთრი სკოლის დერეფნის რემონტისათვის მასალების, კარადების (6 ცალი), სკამების (4ცალი) და სანათი მოწყობილობების - ბრების (17 ცალი) შეძენის მიზნით;

ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას გამოეყო **486 ლარი** სანათი მოწყობილობების შეძენის მიზნით;

ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლას გამოეყო **2700 ლარი** სკოლის მეორე სართულიდან გასასვლელი კიბის აღდგენის მიზნით;

აფხაზეთის N14 საჯარო სკოლას გამოეყო **4770 ლარი** საკლასო ოთახებისათვის 9(ცხრა) ცალი კარისა და 6(ცალი) ფანჯრის შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N12 საჯარო სკოლას გამოეყო **1500 ლარი** სკოლის მეორე სართულის ფოიეს, სამასწავლებლოს და საპირფარეშოს იატაკის რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას გამოეყო **3430 ლარი** 11 (თერთმეტი) ცალი კარების შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N21 საჯარო სკოლას გამოეყო **2097ლარი 50 თეთრი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (კედლების შელესვა/შეღებვა, იატაკის შეღებვა, ასევე სახურავის შეკეთებისათვის) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;

თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას გამოეყო **3385 ლარი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (სკოლის საპირფარეშოების ჭერის გამოცვლა, ასევე სკოლის შესასვლელი კიბის უჯრედისა და კედლების შელესვა-შეღებვა-მოპირკეთება, დაზიანებული დერეფნის მონაკვეთების რემონტისათვის) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N1 საჯარო სკოლას გამოეყო **1617 ლარი და 50 თეთრი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (სკოლის ოთახის კედლებიდან ამორტიზირებული შელესვის მოსხნა, ამორტიზირებული შეფითხვისა და საღებავის ჩამოფხეკა, დემონტირებულ ადგილას კედლის შელესვა-შეღებვა, ხის იატაკის შეღებვა, ჩამოშლილი უკანა კედლის აღდგენა, არსებული იდენტური, მოთუთიებული წყალჩამომშვები მილების მოწყობა-ჩამატება გასაშლელი სახანძრო კიბის საშუალებით) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;

ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო **1900 ლარი** სკოლის კიბის მოაჯირის შეცვლის მიზნით;

აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის გამოეყო **828,08 ლარი** ტექნიკის: მინი ცენტრის (230 ლარი), მეხსიერების ბარათების (40 ლარი), პრინტერისა და კარტრიჯის (558,08 ლარი) შეძენის მიზნით;

ოკუპირებული გალის რაიონის 30 საჯარო სკოლისთვის საკანცელარიო ნივთის შეძენის მიზნით გამოეყო **10381.22 ლარი;**

აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას გამოეყო 34442 ლარი სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეკონსტრუქციის მიზნით (გაიხარჯა 27748,95 ლარი, დააბრუნა - 6693 ლარი);

საზოგადოება „აფხაზურ სახლს“ გამოეყო 15000 ლარი წიგნის „აფხაზური ენა დამწყებთათვის“ გამოცემის მიზნით.

ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო 1900 ლარი ბიბლიოთეკის ინვენტარის: კარადების (5 ცალი), მაგიდის (1 ცალი), სკამი (1 ცალი) შეძენის მიზნით.

აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას გამოეყო 3000 ლარი ბიბლიოთეკის ინვენტარის: მაგიდების (10 ცალი), კარადების (7 ცალი) შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N12 საჯარო სკოლას გამოეყოს 1190 ლარი სკოლის შესასვლელის გადახურვის რეკონსტრუქციის მიზნით;

ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას გამოეყო 200 ლარი პორატბელური DVD - სა და დინამიკების შეძენის მიზნით.

ბიუჯეტი: 94 445 ლარი.
ხარჯი: 91 833,70 ლარი.

4. კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში(ქვეპროგრამის კოდი: 060403)

პროგრამის დასაბუთება:
დღეს არსებული მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობა საკმაოდ მაღალია და მიზეზად ხშირად სახელდება შრომის ბაზრის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა და არცოდნა.

მოსწავლეები სკოლაში სწავლის დასრულების პერიოდისთვის თითქმის არ იცნობენ პროფესიათა სამყაროს, ვერ ახერხებენ, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით, სწორი არჩევანის გაკეთებასა და პროფესიული კარიერის დაგეგმვას.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ეხმარება მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაეუფლონ სხვადასხვა სახელობო პროფესიების (ჭრა-კერვა, გობელენი, თექა, ხეზე კვეთა, ძერწვა, მინაზე ვიტრაჟული ხატვა და სხვა) პირველად უნარ-ჩვევებს. ასევე, პროგრამა ეხმარება ახალგაზრდებს უკეთ გაერკვნენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიათა სამყაროში, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და კარიერის დაგეგმვის დროს.

შედეგი: პროგრამის ფარგლებში შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, გამოიყო შემდეგი თანხები:

1. აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა – 369.50 ლარი (ქსოვილის შეძენა);
2. აფხაზეთის №1 2საჯარო სკოლა – 400 ლარი (თიხაზე სამუშაო მასალების შეძენა).

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გრძელდება თანამშრომლობა. თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლამ განაახლა თანამშრომლობის მემორანდუმი შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან 5 წლის ვადით. შედეგად, მომზადდა ერთობლივი პროექტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „შრომითი უნარების განვითარება სკოლაში“ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით. ასევე, სკოლა აგრძელებს თანამშრომლობას საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფაზისი“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება.

აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა აგრეძელებს თანამშრომლობას ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადთან“, რომლის ფარგლებში სკოლა განაგრძობს სახელობო კურსის- „მკერავი“ განხორციელებას ახალი ჯგუფებისთვის.

3. აფხაზეთის № 5 საჯარო სკოლა – 487.50 ლარი (დეკუპაჟის წრისთვის საჭირო მასალის შეძენა);

4. აფხაზეთის № 7 საჯარო სკოლა – 400 ლარი (ქსოვილის შეძენა);
5. 2018 წლის 06 დეკემბერს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში აფხაზეთის სკოლებში მოქმედი სახელობო ჯგუფებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები: ხელით ნაქსოვი და ხეზე ნაკვეთი ნივთები, ხელით ნაქარგი სურათები, მინაზე შესრულებული ვიტრაჟული ნახატები, დეკუპაჟით და ცივი ფაიფურით შექმნილი ნაკეთობები და სხვა. გამოფენის ბოლოს სახელობო სწავლების პოპულარიზაციისა და საუკეთესო ნამუშევრების წარდგენისათვის აფხაზეთის №2, №5, № 6, № 12 საჯარო სკოლებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ბიუჯეტი: 2000 ლარი.
ხარჯი: 1 992 ლარი.

5. თანაბარი შესაძლებლობები - თანაბარი მზრუნველობა
(ქვეპროგრამისკოდი: 06 04 15)

პროგრამის დასაბუთება:
მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეათედ ნაწილს შეადგენენ. საქართველოში 150 000–ზე მეტი მოქალაქე შშმ პირია, მათი დიდი ნაწილი გარიყულია საზოგადოებისაგან. ამ კატეგორიის მოზარდების მთავარი პრობლემა არის სოციალური აქტივობის დაბალი ხარისხი, რაც იწვევს ზოგადად სხვადასხვა ფსიქიკურ და სოციალურ პრობლემებს. მნიშვნელოვანია, რომ შშმ პირებმა იგრძნონ, რომ ისინი საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები არიან. ამისთვის კი აუცილებელია მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, გონებრივი, ფიზიკური აქტივობისა და თვითშეფასების ამაღლების ხელშეწყობა.

შედეგი:
2018 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით, ზაალ სულაკაურის გასართობ ცენტრში მოეწყო 25 შშმ მოზარდისთვის გასართობი ღონისძიება, რომლის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები ჯამბაზებისა და ანიმატორების

მონაწილეობით. ასევე, ორგანიზებულ იქნა ფოტოგადაღება. ზაალ სულაკაურმა შშმ ბავშვებს ჩაუტარა ხატვის მასტერ-კლასი. დასასრულს, გაიმართა ფეიერვერკი. ღონისძიებაში მონაწილე ყველა შშმ მოზარდს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი;

2018 წლის 22 ივნისს, 25 შშმ მოზარდისთვის მოეწყო ექსკურსია ანანურის ციხის, შიო მღვიმის მონასტრისა და ბაზალეთის ტბის მიმართულებით.

ნოემბრის ბოლოს ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 30 შშმ მოზარდს შ.პ.ს.,, გარდენიაში" ჩაუტარდა მწვანე გაკვეთილების კურსი. მოზარდები მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობაში, მოხატეს ქოთნები და დარგეს ყვავილები, ასევე დაათვალიერეს სანერგე მეურნეობა. პროგრამის ფარგლებში ყველა მოზარდს სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

ბიუჯეტი: 4000 ლარი.
ხარჯი: 3 998 ლარი.

6. შეხვედრები

(ღვაწლმოსილ პედაგოგებთან; მედალოსან კურსდამთავრებულებთან; წარმატებულ სტუდენტ -ახალგაზრდობასთან) (ქვეპროგრამის კოდი 060414)

პროგრამის დასაბუთება :

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ამ ქვეპროგრამის განხორციელებით ხელს უწყობს განათლების სფეროში ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ორი მიმართულების განვითარებასა და წახალისებას, კერძოდ- პედაგოგთა ღვაწლის დაფასებას, პედაგოგის პროფესიის წახალისებასა და ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლებას. ქვეპროგრამა ხელს უწყობს პედაგოგის პროფესიის მოთხოვნადობისა და სიცოცხლისუნარიანობის აქტუალურობის ზრდას, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის გაზრდასა და ამ პროფესიით ახალგაზრდების დაინტერესებას.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის ღვაწლმოსილი პედაგოგების დაფასება, მასწავლებლის პროფესიის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, აფხაზეთის საჯარო სკოლებში პედაგოგების წახალისება, ახალგაზრდა თაობის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ „აფხაზეთის საჯარო სკოლის წლის საუკეთესო პედაგოგის დებულების" შესაბამისად, გამოავლინა წლის საუკეთესო სამი პედაგოგი. 2018 წლის 20

ნოემბერს გაიმართა აფხაზეთიდან დევნილ ღვაწლმოსილ, აფხაზეთის საჯარო სკოლების წლის საუკეთესო პედაგოგებთან და წარმატებულ სტუდენტ-ახალგაზრდებთან შეხვედრა- დაჯილდოება.

ბუჯეტი: 970 ლარი.
ხარჯი: 935.55 ლარი.

7.აფხაზეთის მოზარდები მედიაპროექტში „ეტალონი“
(ქვეპროგრამის კოდი 060606)

პროგრამის დასაბუთება:

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ საშუალება წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა და ინტელექტი მედია-პროექტ „ეტალონის“ მსგავს პროექტებში. მასში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით.

პროგრამის აღწერა:

მედია-პროექტში „ეტალონი“ მონაწილეობით აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს ეძლევათ საკუთარი რესურსებისა დ აინტელექტის წარმოჩენის შესაძლებლობა.

შედეგი:

2017 წლის 13 აპრილს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას არტგალერეაში აფხაზეთის ,,ეტალონი“-ს გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდა.

მედია-პროექტში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის გალის რაიონის სკოლების 54 მოზარდმა; მოსწავლეებმა წარმოაჩინეს თავიანთი ცოდნა/ინტელექტი;
გამარჯვებული გახდა ოკუპირებული გალის რაიონის თაგილონის საშუალო სკოლის მოსწავლე ჯესიკა არქანია;

ბიუჯეტი: 2960 ლარი.
ხარჯი: 2960 ლარი.

8. ,,საზაფხულო ბანაკი” (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 07).

პროგრამის დასაბუთება

ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება დღესაც მძიმეა, რაც გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე. ასევე, მძიმეა გალის რაიონის ქართული მოსახლეობის მდგომარეობა. ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოზარდები მოკლებული არიან თანამედროვე შემეცნებით-გასართობ პროგრამებში მონაწილეობისა და ქართველ თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

პროგრამის აღწერა

პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო განათლების, ფიზიკური, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასიათის სხვადასხვა აქტივობებს, რაც ავითარებს მოზარდების გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს სათანადო ცოდნას ჯანსაღი ცხოვრების წესის თაობაზე, მოსწავლეებს აზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას.

შედეგი:

,,საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში მაღალი აკადემიური მოსწრების, საზოგადოებრივ და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიხედვით შერჩეულმა 32 მოზარდმა, აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან, დაისვენა ქ. ქობულეთში და გაიუმჯობესა ჯანმრთელობა.

მოსწავლეები ჩართული იყვნენ სამოქალაქო ცნობიერების, კულტურულ-შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში.

ბანაკის ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემებზე: გარემოსდაცვითი განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესი (შიდსის, ნარკომანიის პრევენცია, სამშვიდობო განათლების მთავარი პრინციპები და სხვა.

გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლებმა მოსწავლეეებს ჩაუტარეს ეკო-გაკვეთილები და ტრენინგები. ასევე, გაიმართა საუბრები გენდერული თანასწორობის, ტოლერანტობის თაობაზე. ბანაკის ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილის სერტიფიკატი.

,,საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში შედგა ვიზიტი საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“. მოსწავლეები გაეცნენ პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს.

ბანაკის ფარგლებში მოეწყო გასვლითი ექსკურსია - ღამის ბათუმის დათვალიერება.

ბიუჯეტი: 15 000ლარი

ხარჯი: 13 899,84 ლარი

9. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელთა პერსონალური და პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგები

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 13)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

სამინისტროს თანამშრომლები ფუნქცია-მოვალეობების სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროებენ გადამზადების შესაბამისს კურსებს (ტრეინინგები) თავიანთი მიმართულებებისა და პოზიციების მიხედვით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის არსი მდგომარეობს პროფესიული ცოდნის გაღრმავებასა და უნარ-ჩვევების სრულყოფა/განახლებაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელთა პერსონალური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის მეშვეობით პირები შეძლებენ თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესებას.

მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ამაღლდება სამიზნე ჯგუფის კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს სამინისტროს გამართულ ფუნქციონირებას.

შედეგი:

სამინისტროს თანამშრომლებისათვის 11 სხვადასხვა მიმართულებით გაიმართა გადამზადების კურსები (ტრეინინგები). შედეგად, ხელი შეეწყო სამინისტროს თანამშრომელთა პერსონალურ და პროფესიულ განვითარებას, განახლდა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევები.

ბიუჯეტი: 8000 ლარი.

ხარჯი: 7 500 ლარი.

10..აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12).

განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის წარმატებისა და განვითარების საწინდარია. თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას, ქმნიან ღირებულ პროდუქციას და გააჩნიათ იმის უნარი, რომ სამყაროს მუდმივად ცვალებად მოთხოვნილებებს ინოვაციური იდეების რეალიზაციით უპასუხონ. განათლებული და მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი საზოგადოების ჩამოყალიბება გრძელვადიანი პროცესია. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია უმაღლესს განათლებას.

პროგრამის აღწერა.

პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას. პროექტის განხორციელება წარმოადგენს ახალგაზრდების მხარდაჭერის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ღონისძიებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ,,აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსული 2 (ორი) წარდგინება.

ნინო ყრუაშვილს - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტს მიენიჭა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

ბიუჯეტი: 1 230 ლარი.

ხარჯი: 617 ლარი.

11. დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები.

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11).

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტრაგედია მუდმივად იყო მსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის, კვლევის საგანი. დღეს მოდის თაობა, რომელიც აფხაზეთში არ დაბადებულა, აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იცის მხოლოდ გადმოცემებით ან წიგნებიდან და ყოველივეს

აღიქვამს, როგორც წარსულის დრამატულ მოვლენას. ზოგადად, აღინიშნება აფხაზეთის თემის ახლებურად გააზრებული და ფუნდამენტური კვლევის სიმწირე.

პროგრამის აღწერა.

აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციისა და გააქტიურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ახალგაზრდების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მოტივაციის ამაღლება. კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს აფხაზეთის მთავრობის მხრიდან ახალგაზრდების მხარდაჭერის, აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაციის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ღონისძიებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, დაწესდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები.

შედეგი:

ქვეპროგრამის ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის“ ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შემოსული 9 წარდგინება.

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭათ:

ა) გიორგი დუნდუას - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ,,განათლების მეცნიერებები“ სტუდენტს;

ბ) დავით ესათიას - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს;

ბიუჯეტი: 5 550 ლარი.

ხარჯი: 4 523 ლარი.

12. აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 17)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აფხაზური ენა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად. **შესაბამისად,** აფხაზური ენის, როგორც სახელწიფო ენის, დაცვა, შესწავლა, მხარდაჭერა **ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.**

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზური ენის პოპულარიზაცია და განვითარება მოზარდ-ახალგაზრდებში. სამინისტრო ,,აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის" ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზური ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები.

ბიუჯეტი: 8 400 ლარი.

ხარჯი: 5 950 ლარი.

13 „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების" პროგრამა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველკვარტალურად უზრუნველყოფს ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემას, რომლის ოდენობაც 2018 წლისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

ა) დირექტორებისთვის 810 ლარის ოდენობით

ბ) პედაგოგებისთვის 780 ლარის ოდენობით

გ) ტექნიკურ პერსონალისთვის 522 ლარის ოდენობით

2018 წელს პროგრამის ფარგლებში დასაფინანსების მიზნით გაიგზავნა 705 პედაგოგის, 24 დირექტორის და 178 ტექნიკური პერსონალის მონაცემი. სულ 907 ბენეფიციარი.

ხარჯი: 2, 649, 024 ლარი.

14) საინფორმაციო ბანკი საზღვარგარეთ მცხოვრებ აფხაზეთიდან ლტოლვილ წარმატებულ ახალგაზრდებზე (06 04 16).

მიზნების განხორციელება:

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდებში სახელმწიფოებრივი აზროვნების, სამოქალაქო და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის დანერგვა, ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში შესაბამისი ერთიანი პოლიტიკის გატარება. აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდების თაობაზე საინფორმაციო ბანკის შექმნა ამ პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

საინფორმაციო ბანკი საზოგადოებას კიდევ ერთხელ დააფიქრებს ომსა და მის დამანგრეველ შედეგებზე, რომელმაც შეიწირა აფხაზურ-ქართული ურთიერთობები; იმაზე, რამაც აფხაზეთის ახალგაზრდობა (აფხაზეთში თუ აფხაზეთიდან შორს დაბადებული) იძულებული გახადა უცხოეთში გახიზნულიყო და იქ ეძებნა თავშესაფარი. მათ ომმა წაართვა შესაძლებლობა, რომ თვითონ ეზრუნათ აფხაზეთის აღორძინებისა და აღმშენებლობისათვის, გაუჩინა გაუცხოების პრობლემა აფხაზ თანატოლებთან, რომლებთან ერთადაც უნდა შეექმნა აფხაზეთის მომავალი. ომმა როგორც აფხაზეთის ქართველი (ისე აფხაზი ახალგაზრდების ერთი ნაწილი) სულ სხვა უცხო გარემოში გადაისროლა და მათი ბედი შეცვალა. საინფორმაციო ბანკი ამ რეალობას თვალსაჩინოს გახდის საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვისაც.

შედეგები:

- საინფორმაციო ბანკის შექმნა და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმ ახალგაზრდების ერთი ნაწილის მონაწილეობით, რომლებმაც თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს, გამოიცა კრებული „აფხაზეთი სავიზიტო ბარათად“ - პირველი ნაწილი.

ბიუჯეტი: 3 000 ლარი.
ხარჯი: 2 519 ლარი.

,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა.

2018 წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის

ფარგლებში განხორციელდა აფხაზეთის 7 საჯარო სკოლის (აფხაზეთის N1. N7, N10, N11, N12, N14, N21) 300 -მდე მოსწავლის ტრანსპორტით მომსახურება.

2018 წლის განმავლობაში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მიზნით, განათლების სამსახურთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, საქართველოს განათლებისა დ ამეცნიერების სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის№147 ბრძანების შესაბამისად, აღიარა **315** სრული ზოგადი განათლება, **36** საბაზო, **128** ცალკეულ კლასში მიღებული განათლება.

➢ მომზადდა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მიეწოდა ინფორმაცია 2017-2018 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის იმ კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებმაც დაძლიეს საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე.

➢ 2017-2018 სასწავლო წლის აფხაზეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 193 მოსწავლეს. დამამთავრებელი მე-12 კლასის საატესტატო გამოცდებზე დარეგისტრირდა 191, წარმატებით დაძლია 153-მა (80 %).

➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1259 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული ”წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის” "წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის" შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა მონაცემები აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მედალოსნობის კანდიდატების შესახებ. სულ 22 მედალოსანი; 12 - აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლე (8 - ოქრო, 4- ვერცხლი), 10 - გალის რ-ნის საშუალო სკოლები (7- ოქრო, 3- ვერცხლი).

➢ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია "2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით და დგენილი მიღწევის დონით ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ". დარეგისტრირდა 2 მოსწავლე, დაძლია 2-მა.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ “2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით და დგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ“ 2018 წლის 13 ივნისის N563 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. დარეგისტრირდა 3 მოწავლე, დაძლია 3-მა.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია “2018-2019 სასწავლო წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე“.

- აფხაზეთის №1, №7 და №10 საჯარო სკოლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „ჩემი ჯარი“ განხორციელდა. პროექტის ფარგლებში №1 საჯარო სკოლას (ქ. ზუგდიდი) სერჟანტი დავით გულუა, თემურ ბოკუჩავას სახელობის №7 საჯარო სკოლას (ქ. სენაკი) მასტერ სერჟანტი კობა კანდელაკი, ხოლო აფხაზეთის №10 საჯარო სკოლას (ჩხოროწყუ) უფროსი სერჟანტი მამუკა ბოჟაძე ეწვივნენ. სტუმრებმა მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია ქართული ჯარის სტრუქტურული შენაერთების, შემადგენლობისა და აღჭურვილობის შესახებ, მომავალ პერსპექტივებზე, სამშვიდობო მისიებზე, კადეტთა მომზადების, სამხედრო ლიცეუმსა და აკადემიაში მოხვედრა-სწავლების საკითხებზე, თანამედროვე თავდაცვით სამხედრო ტექნიკაზე და ა.შ. მოსწავლეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჯარში გატარებული რეფორმებითა და კადეტთა ლიცეუმში სწავლის პირობებით.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ „სასკოლო სპორტული ოლიპიადა 2018“-ის აფხაზეთის რეგიონის ფინალური თამაშები გამართა. აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლები ერთმანეთს რეგიონის პირველობისთვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრნენ. სულ ოლიმპიადაში 270-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ის აფხაზეთის რეგიონის გამარჯვებული გუნდების ტიტული და ზონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: მინი ფეხბურთში - აფხაზეთის №1 საჯარო სკოლამ; გეზრბენში (ვაჟები) - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლამ; გეზრბენში (გოგონები) - აფხაზეთის №11 საჯარო სკოლამ; ფრენბურთში (ვაჟები) - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლამ; ფრენბურთში (გოგონები) - აფხაზეთის №10 საჯარო სკოლამ;

კალათბურთში (ვაჟები) - აფხაზეთის №15 საჯარო სკოლამ; კალათბურთში (გოგონები) - ოტობაიის საშუალო სკოლამ; მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები) - აფხაზეთის №12 საჯარო სკოლამ.
გამარჯვებული გუნდები თასებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით ფინალისტ გუნდებს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფორმები გადაეცათ. „სასკოლო სპორტული ოლიპიადა 2018“ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. პროგრამის მხარდამჭერები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებში დედაენის დღისადმი დაკავშირებული კვირეული გაიმართა. მოეწყო როგორც შიდა სასკოლო, ასევე გასვლითი ღონისძიებები.

- აფხაზეთის N2 და ვოვა ვეკუას სახლობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების" ინიცირებით აფხაზეთის დღის აღსანიშნავად გამართულ გამოფენაში სახელწოდებით -- „ჩემი სახლია ფხაზეთში". გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში ასახული იყო ბავშვების წარმოდგენაში არსებული აფხაზეთი. გამოფენის ყველა მონაწილეს სპეციალური სიგელი გადაეცა.

- აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში: ახალგაზრდული კონფერენცია თემაზე: „აფხაზეთი - წარსული და დღევანდელობა“, შემოქმედებითი საღამო „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონი ,,აქ ერთად ვართ“, საქართველოს პარლამენტი“ და სხვა.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებში ილია ვეკუას 111 წლის იუბილესთან დაკავშირებული კვირეული გაიმართა. კვირეულის ფარგლებში სკოლებში საგანგებო შეხვედრები, კონკურსები, ოლიმპიადა და სხვა ღონისძიებები მოეწყო. 23 აპრილს, აფხაზეთის N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მთაწმინდის პანთეონში ილია ვეკუას საფლავი ყვავილებით შეამკეს.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის პროექტის ,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ერთ-ერთი კომპონენტის ,,დროის ბანკის“ შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების" პროგრამის "ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების" ქვეპროგრამის ფარგლებში ინფორმატიკის ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

- აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ჩერქეზული კულტურის ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით გამოჩენილი აფხაზი პოეტის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის მუშნი ლასურიას დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში. მოსწავლეებმა აფხაზურ და ქართულ ენაზე წაიკითხეს ნაწყვეტები ''ვეფხისფყაოსნიდან''.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, ბატონ დავით ხვედელიძის წერილი, რომელიც ეხება, დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ახალი საგნების დანერგვას.
სკოლებიდან მიღებული მასალების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია ბენეფიციარი მასწავლებლების შესახებ, რომლებიც, მომდევნო 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე გადამზადდებიან ორი საგნის სწავლების მიმართულებით: "მე და საზოგადოება" და"ჩვენი საქართველო".

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის, ქალბატონ ნინო ნანიკაშვილის სამსახურებრივი ბარათი შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის სრულყოფა/შესაბამისობაში მოყვანისა და კანონმდებლობით დადგენილი ქმედებების განხორციელების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ინფორმაციის განახლების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბატონ გიორგი მაჩაბელის წერილი 2018 წლის აპრილ-ივნისში (28 აპრილი - 02 ივნისი) ზოგად პროფესიული კურსის მესამე ტრენინგ მოდულის მიხედვით - „სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პედაგოგების გადამზადების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაცია განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სახალხო დამცველის წერილი, რომელიც ეხება ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტის ''უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი'' ჩატარების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში სასწავლო წლის განმავლობაში ადმინისტრაციის მხრიდან გამოყენებული დისციპლინური სახდელის სახით სკოლიდან დათხოვის რაოდენობის თაობაზე.

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა" პროგრამის ფარგლებში კონტროლის განსახორციელებლად გომოყოფილი პირების შესახებ.

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია „მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში და მანავის "სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკში" მონაწილეობის მიღების მსურველი აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების შესახებ (ანაკლია - 12 მოსწავლე, მანავი - 6 მოსწავლე).

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროექტის ,,საბაუნის მოსწავლეთა აკადემიის“ შესახებ პრეზენტაციების ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია შპს "ლინგველის" მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, პრეზენტაციების ჩატარებისა და შეთავაზებული პროგრამით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის კოდების მინიჭების საკითხის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ სასკოლო გარემოს დაცვითი კონკურსის "ნიკო კეცხოველის პრემია 2019 - მდგრადი განვითარების მიზნების" განხორციელებისა და კონკურსის თაობაზე საინფორმაციო მასალების პოსტერებისა და გზამკვლევის გავრცელების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თაობაზე.

- მომზადდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია იმ პირთა თაობაზე, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში ან ექსტერნის ფორმით დაძლეული აქვთ საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ მიერ საბავშვო და ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივების პირველი საერთაშორისო ფესტივალის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია შპს "სისხლის ბანკის" მიერ ორგანიზებულ აქციაში მონაწილეობის შესახებ "გაიღე სისხლი, აჩუქეთ ბავშვებს სიცოცხლე!".

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019''-ს ჩატარების თაობაზე. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამა ხორციელდება საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათი სამსახურების აქტიური მხარდაჭერით.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ინტელექტუალური პროექტის "ინტელექტის დღე-2018"-ის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია "ჯუნიორ ეჩივმენთ საქართველოს" მიერ განხორციელებული პროგრამის - "მეწარმეობის საფუძვლების" და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოში სამეწარმეო უნარ-ჩვევების სერტიფიცირების (ESP) დანერგვის თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის ბრძანება "მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის დამტკიცების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის წერილი სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადა 2018-ის თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, OLYINFO-ს საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის, ბატონ გიორგი მანდარიას წერილი OLYINFO-ს - "ინფორმატიკის ოლიმპიადა ყველასათვის" თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ ვიდეორგოლების კონკურსის "გახდი კადეტი" განხორციელების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია “2018-2019 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაცია ,,ჰერა-XXI''-ის მიერ შემუშავებული ელექტრონული დისტანციური სასწავლო პროგრამის EHERA.GE-სა და სკოლის ექიმებისითვის განკუთვნილი დისტანციური სწავლების კურსის "მოზარდთა რეპროდუქციული განვითარება და ჯანმრთელობა" შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილი, რომელიც ეხება სასკოლო ასაკის ბავშვებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების შესწავლას.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია 2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაცია სკოლების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ბაზაში ასახვასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ტრენინგის ,,კლასის მენეჯმენტი“ შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ FUTURE LABORATORY-ს წერილი, რომლიც ეხება პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ, მიმდინარე წლის 7 ივნისს დაგეგმილ უფასო სემინარს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებისათვის.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ 2018 წლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის "დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" ფარგლებში დაგეგმილი საზაფხულო სკოლების განხორციელების თაობაზე ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია 2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებგამოცდების თაობაზე.

- მომზადდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა დაზუსტებული ინფორმაცია იმ სპეციალური საჭიროების მქონე მონაწილეთა შესახებ, რომლებმაც (დამამთავრებელი კლასი) მონაწილეობა მიიღეს 2017-2018 სასწავლო წლის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაცია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2018 წლის 1 ივლისიდან ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანება "ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე".

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიის ერთობლივი პროექტის "მასწავლებლის მომზადების პროგრამის" შესახებ ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები სმიერ 26 ივნისიდან მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სატატუსის მინიჭების წინადადებების ელექტრონულ სისტემაში განთავსებისა და რეკომენდაციების შესახებ.

- მომზადდა და საქართველოს გაანთლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქუთაისში პროექტის "რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკის" განხორციელების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია, რომელიც ეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებას, შენარჩუნებასა და შეწყვეტას.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ პროგრამის "ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 11, 13, 15 წლის მოსწავლეებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების შესახებ კვლევის ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის წერილი, რომელიც ეხება, მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ვადის ცვლილებას.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ "2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ".

- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტური სგანვითარების სააგენტოში გადაიგზავნა აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების 2018-2019 სასწავლო წლის პირველკლასელთა დამრიგებლების სახელობითი სია.

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა მოთხოვნა 2018-2019 სასწავლო წლისთვის ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პირველკლასელთათვის ნეთბუქების გამოყოფის თაობაზე (390 მოსწავლე).

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“-ს "მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის"ფარგლებში მეორე ნაკადში ჩართული პედაგოგების გადამზადების საგნობრივი ტრენინგ-მოდულების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 23 მაისის N489 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის ფორმები.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ინფორმაცია, რომელიც ეხება ინტელექტუალურ თამაშს - ''რა, სად? როდის?“.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ მხარდაჭერით 2018 წლის 1 ივნისიდან 15 ივნისის პერიოდში დაგეგმილ საბაზო საფეხურზე (მე-9 კლასი) მათემატიკში სახელმწიფო შეფასების თაობაზე.

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საგურამოში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი საღამო გამართა.

2017-2018 სასწავლო წლის აფხაზეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა - **193,** აბიტურიენტად დარეგისტრირდა - **108**, ჩარიცხულთა რაოდენობა - **89** (სასწავლო გრანტი:100% - 2, 70% - 4, 50%-16).

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაიგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონის ოკუპირებული საშუალო სკოლების იმ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ, რომლებმაც 2017/2018 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზო საფეხური და რომელთა საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ლიდერობის აკადემია 3-ის ტრენინგების შესახებ ინფორმაცია.

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ქუთაისში "რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკში" მონაწილეობის მიღების მსურველი აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაცემები.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია "სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან გათავისუფლების თაობაზე“.
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების და აღნიშნულიდან გამომდინარე მოსწავლეთა მიერ სკოლის მიტოვების ფაქტების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია იუნესკოს 2018-2019 წლების “მონაწილეობის პროგრამის” ფარგლებში დაფინანსების მოპოვების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ “ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევის განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 ივლისის N1368 განკარგულება ინფორმირების მიზნით.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის” „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით ქვეპროგრამის“ ფარგლებში განსაზღვრული აქტივობისა და სამიზნე ჯგუფების (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ბოშა, მესხი მოზარდები) სოციალიზაციის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების დაფინანსების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ,,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, ბატონ თეიმურაზ მურღულიას 2018 წლის 24 ივლისის N26 ბრძანება (N26, 24/07/2018).
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ინფორმაცია სასკოლო სახელმძღვანელოების თაობაზე.
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ინფორმაცია რეფერირების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებებისა და ფიზიკური აღზრდის საათების შემცირებასთან დაკავშირებით, გამონაკლისის დაშვებისთვის შემუშავებულ კითხვარები.

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ 2018 წელს იჯარით გაცემული ფართების შესახებ ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს ინფორმირების მიზნით მიეწოდათ სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის, ბატონ რეზო კიკნაძის წერილი, რომელიც ეხება სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა "მუსიკა" შესახებ.

- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაიგზავნა 2017-2018 სასწავლო წლის პირველ და მეორე სემესტრებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების გაცდენებისა და დაგვიანებების შესახებ ინფორმაცია.

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაიგზავნა 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში აფხაზეთის საჯარო სკოლების ტრანსპორტის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს ინფორმირების მიზნით გადაეგზავნათ ოქტომბრის თვეში დაგეგმილი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სკოლებში განთავსებული საარჩევნო უბნების თაობაზე.

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ,,მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით ქვეპროგრამის“ ფარგლებში სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის მასწავლებლის მიერ მომზადებულ პროექტი.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს ინფორმირების მიზნით გადაეგზავნათ საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გივი ქართველიშვილის წერილი წიგნის "სახელმძღვანელო მარტივ სამთო ბილიკებზე მოსწავლე ახალგაზრდების გამყოლისათვის" თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 აგვისტოს N129 ბრძანება.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ექსტრაკურიკულარული წრეების გამარტივებული წესით დაფინანსების მე-2 ეტაპის თაობაზე.

- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიეწოდა აფხაზეთის საჯარო სკოლების სასკოლო მერხებისა და დაფების საჭიროების შესახებ ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია FLEX პროგრამის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია კომპანია "აიფიემ კვლევების" მიერ სკოლებში რაოდენობრივი კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ პროექტ "სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019"-ის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით რეკომენდაციების გავრცელების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია დაწყებითი საფეხურების სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებულ გრიფირების პროცესში, საგანში - „ფიზიკური აღზრდა“ (V-VI კლასები) შემოსულ გრიფირების განაცხადზე, გრიფის მინიჭებისათვის დადგენილი პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია დაწყებითი საფეხურების სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებულ გრიფირების პროცესში, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ (V-VI კლასები) შემოსულ ყველა გრიფირების განაცხადზე გრიფის მინიჭებისათვის დადგენილი პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, უარის თქმის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N180 ბრძანება, მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ.

- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაიგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ I-VI კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების დამატებითი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ მსოფლიო ბანკის პროექტების ხელმძღვანელის წერილი კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ საჯარო სკოლებში გათბობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის ფარგლებში, ინტერვიუების ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენ-ობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2018 წლის 14 სექტემბრის N34/ნ ბრძანება სპეციალური მასწავლებლის დაფინანსების წესის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია „ონლაინ უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.
- მომზადდა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების "მე და საზოგადოება" საგნის მასწავლებელთა შესახებ.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებს გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები (სულ 12).
- 2018-2019 სასწავლო წლის საგნობრივ ოლიმპიადაზე დარეგისტრირდა **598** მოსწავლე. პირველ ტურში მონაწილეობდა - **494** მოსწავლე, პირველი ტური გადალახა - **63** მოსწავლემ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების მიერ პრეზენტაციების ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია გარე დაკვირვების გავლის მსურველ პირთა eshool-ის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მულტიდისციპლინური გუნდის წევრების სპეც. მასწავლებლის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების საკონკურსო კომისიაში ჩართვის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ტრენინგების შემდგომ დაგეგმილი მასწავლებელთა ორი სამუშაო შეხვედრის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მულტიდისციპლინური გუნდის წევრების სპეც. მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების საკონკურსო კომისიაში ჩართვის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საზოგადოებაში ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით, USAID-ის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტის ,,მრავალფეროვნების სახეების" შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ,,ახალგაზრდული ფესტივალი 2018" -ის ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 11 ოქტომბრის N312 ბრძანება "სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში გამარტივებული წესით დაფინანსებული პროექტების ნუსხის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ,,2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტურის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ'' სსიპ -შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 16 ოქტომბრის №157/18 და ,,2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტურისათვის თითოეულ საგანში შედგენილი ტესტის მაქსიმალური ქულის დადგენის თაობაზე'' სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 ოქტომბრის №159/18 ბრძანება.
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიეწოდა აფხაზეთის საჯარო სკოლების I-VI კლასის სახელმძღვანელოების დანაკლისის თაობაზე ინფორმაცია.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაცია საჯარო და კერძო სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (eSchol) რეესტრის წარმოების წესით დადგენილი მონაცემების სრუყოფილად ასახვისა და პერიოდული განახლების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ორგანიზაცია "განათლება და ახალი ტექნოლოგიები“-ს მიერ შექმნილი მულტიმედიური დისკების ,,საქართველოს ისტორიის დამხმარე ელექტრონული სახელმძღვანელო" სკოლებში შეტანასთან დაკავშირებით ნებართვის მიღების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია პროექტის "100 ლექცია ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე" და პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის მასწავლებლებისთვის - ,,ჩაატარე ლექცია ევროპის შესახებ".
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციაში (დეპარტამენტი) შემავალი სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის მარიამ ჩიქობავას სამსახურებრივი ბარათი (N1403325, 31/10/2018), რომელითაც შუამდგომლობს უწევს იაპონიის საელჩოს საჯარო სკოლებისთვის იაპონური კულტურისა და ხელოვნების გაცნობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის მიერ ორდღიანი სემინარების ციკლის პედაგოგებისთვის „ნატო-არჩევანი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის“ თაობაზე.
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გადაიგზავნა უახლესი ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების შენობების გათბობის მდგომარეობის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთათვის ტრენინგების ჩატარების შესახებ, საგნობრივი მიმართულებით.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ 2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტურის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებმა განახორციელეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში არსებული ინფორმაციის გადამოწმება და ხარვეზების აღმოფხვრა.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლებისთვის მომზადებული დამატებითი ელექტრონული რესურსის მეორე ნაწილი.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთათვის საგნობრივი და ინკლუზიური მიმართულებებით ტრენინგების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინფორმაცია პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ბენეფიციარებთან დაკავშირებული სადაო საკითხების გადაწყვეტის კომისიის შექმნის თაობაზე.
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაიგზავნა ინფორმაცია 2017-2018 წლებში აფხაზეთის საჯარო სკოლებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ბავშვთა სამხატვრო გამოფენის „ლიდიცე 2019“-ის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ შპს - ,,ტოიოტა ცენტრალ თბილისის" მიერ გამოცხადებული კონკურსის "ჩემი ოცნების ავტომანქანა" თაობაზე.
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში მობილობით გადმოსული 1-6 კლასის მოსწავლეებისათვის ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების საჭიროების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია ევროპის საბჭოს დაარსების 70 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ესეებისა და ფოტო კონკურსის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ,,ინფორმატიკის ოლიმპიადა ყველასათვის“ თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების პედაგოგთათვის ტრენინგების საგნობრივი მიმართულებებით ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ კომპანია "SMARTMAN"-ის თანადამფუძნებლის, საჰარ ჰარბის წერილი მიმდინარე წლის 7-8 დეკემბერს კომპანიის მიერ დაგეგმილი თავის ტვინის განმავითარებელი საგანმანათლებლო პროგრამის "UCMAS" პრეზენტაციის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია LCC საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ინგლისური ენის საჯარო მეტყველებაში კონკურსის ჩატარების თაობაზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - “112"-ის დირექტორის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის ნიკა გელაშვილის წერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ განხორციელების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია კავკასიის სამართლის აკადემიის მიერ საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის სამოქალაქო განათლებაში ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროექტის - აბიტურიენტებისათვის საცნობარო ლიტერატურის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი ანიმაციური ვიდეო რგოლების კონკურსის - „გაცოცხლებული სურათები“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 ნოემბრის N505 ბრძანება.

<u>,,აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“ (0605)</u>

<u>პრიორიტეტის დასახელება:</u> <u>აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მეცნიერების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ფინანსური ხელშეწყობა.</u>

პრიორიტეტის მიზანი: პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთის მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას და მათი ნაშრომების სამეცნიერო აკადემიურ წრეებში წარმოჩენას, მასში რაც შეიძლება მეტი მეცნიერის, მაგისტრანტისა და დოქტორანტის ჩართულობას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა : 2018 წელს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთიდან დევნილ და აფხაზეთის საკითხზე მომუშავე მეცნიერებს თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოებაში, სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, ნაშრომების გამოცემაში, საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში გამოცდილების მიღებაში, ამ მიზნით სამგზავრო ხარჯების დაფინანსებაში, მუშაობის შედეგების გამოქვეყნებასა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში.

მიღწეული შედეგები: 1. პროგრამის ფარგლებში 2018 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლის, ინფორმატიკის აკადემიური დოქტორის, ასისტენტ-პროფესორის ნუგზარ კერესელიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი ,,ინფორმაციული ომის ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემა- აოაის'', რომლის ფარგლებში მეცნიერი მიმდინარე წლის 24 – 26 მარტს მიწვეული იყო იტალიაში, ქალაქ ფლორენციაში, სადაც ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია მათემატიკური მეცნიერებისა და კომპიუტერული ინჟინერიის საკითხებში. აღნიშნულ კონფერნეციაზე იგი მიწვეული იყო როგორც მომხსენებელი. კომისიის გადაწყვეტილებით მგზავრობის ხარჯებისთვის (თბილისი - მილანი - თბილისი) თანადაფინანსების სახით მას გამოეყო 928, 32 ლარი(ცხრასოცდარვა ლარი და ოცდათორმეტი თეთრი.)

2. პროგრამის ფარგლებში 2018 წელს მეორე კვარტალში დაფინანსდა დავით ტვლდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგის სამეცნიერო - საბაზისო საგნებში, ექიმ- კარდიოლოგის ირაკლი თოდუას მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელმაც ჩააბარა რეზიდენტურის პროგრამაზე ნიუ იორკის ,,კონი აილენდის ჰოსპიტალში'' და მიწვეული იყო შესაბამისი კურსის გასავლელად. კომისიის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ირაკლი თოდუას თანადაფინანსების სახით გამოეყო მგზავრობის ბილეთებისთვის (თბილისი- ბაქო- ნიუ იორკი) 812 (რვაასთორმეტი) ლარი.
მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ასევე დაფინანსდა მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკის (ინგოროყვას კლინიკა) მედიკოსი ლიკა სიგუას მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც მიწვეულია ევროპის რესპირაციული ასოციაციის საერთაშორისო კონგრესზე ქ. პარიზში, სადაც გახლდათ თანამომხსენებელი თემაზე: ,,ფილტვების ქრონიკული ობსერვაციული დაავადების გავრცელება საქართველოში''. კომისიის გადაწყვეტილების წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ლიკას სიგუას თანადაფინანსების სახით გამოეყო მგზავრობის

ბილეთებისთვის (თბილისი -კიევი -პარიზი- კიევი- თბილისი) 987 (ცხრაასოთხმოცდაშვიდი) ლარი.

3. პროგრამის ფარგლებში 2018 წლის მესამე კვარტალში დაფინანსდა:

ა)ბიოლოგიის დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნონა მიქაიას პროექტი, რომელიც ეხებოდა მის მონაწილეობას ავსტრალიის ქ.ქვინსლენდის უნივერსიტეტში დაგეგმილ კომფერენციაში მონაწილეობას, სადაც ის წარსდგა მოხსენებით თემაზე: „ენტოპათოგენური ნემატოდების გამოყენება ფაროსანას წინააღმდეგ“. პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ბილეთისთვის, თანადაფინანსების სახით, მას გამოეყო 1 000 (ერთი ათასი) ლარი;

ბ)„თავისუფალი“ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ბადრი ბელქანიას პროექტი, რომელმაც მოიპოვა გლაზგოს უნივერსიტეტში უსაფრთხოების, დაზვერვისა და სტრატეგიული კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის სტიპენდია. პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ბილეთისთვის, თანადაფინანსების სახით, მას გამოეყო 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი;

გ) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის თამთა ახალაიას პროექტი, რომელიც მოიცავდა მისი სადისერტაციო თემის ფარგლებში კვლევის განხორციელებას ქ. ნოუ ორკის უნივერსიტეტში პროფესორ ბორის გროისის ხელმძღვანელობით. პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ბილეთისთვის, თანადაფინანსების სახით, მას გამოეყო 2 480 (ორი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი.

მეოთხე კვარტალში, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა გამომცემლობა ,,მერიდიანმა,“ პროგრამის ფარგლებში, დაბეჭდა 9 მეცნიერის ნაშრომი.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები: ა) პრობლემის აქტუალურობა და კვლევის სიახლე; ბ) აღწერილი მიზნების, განსახორციელებელი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების ტრანსპარანტულობა; გ) რამდენად შეუწყობს ხელს წარმოდგენილი პროექტის განხორციელება კონკრეტული მეცნიერის პროფესიულ წინსვლას; დ) სამეცნიერო კონფერენციებზე თანამედროვე აფხაზეთის აქტუალური პრობლემების წარმოჩენა; ე) კვლევის შედეგებით უცხოეთის სათანადო სამეცნიერო წრეების დაინტერესების შესაძლებლობა; ვ)კონკრეტული მოკლევადიანი სამეცნიერო სამოგზაურო პროექტებით ინფორმაციის გაცვლის და გამოცდილების გაიზარების, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის ხარისხი.

პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 ლარი.

ხარჯი: 21,962.9 ლარი.

ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა-06 03 03

პრიორიტეტი: ხელოვნებისა და მიმდნარე ღონისძიებების ორგანიზება.

პრიორიტეტის მიზანი: პრიორიტეტი ემსახურება ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, განვითარებას, პოპულარიზაციას, მათ წარმოჩენას. ხელოვნების სფეროში უზრუნველყოფს შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებასა და კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებას, აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული კულტურული კავშირების განმტკიცებას, მათ მხარდაჭერაში არასამთავრობო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობას, აფხაზეთის ხელოვნების, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენას.

პროგრამის ფარგლებში 2018 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ქვეპროგრამა: „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“ (06 07 10)

ქვეპროგრამის დასაბუთება:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოსა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების წარმოჩენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა. აფხაზეთის მდიდარი ფოლკლორული ნიმუშების წარმოდგენას და აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანების ფინანსურ მხარდაჭერას მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფის მიზნით.

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ქართულ-აფხაზური კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის, აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული მიღწევების მქონე, ნიჭიერი და წარმატებული ხელოვანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მათი განვითარება; ხელოვანთა ფინანსური მხარდაჭერა/თანადაფინანსება, რათა მონაწილეობა მიიღონ: კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და სხვადასხვა სახის შემოქმედებით ღონისძიებებში.

მიღწეული შედეგები:

●07 თებერვლიდან 11 თებერვილის ჩათვლით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“ მიწვეული იყო ქ. ერევანში. მათ მონაწილეობა

მიიღეს სომხეთის კულტურის საქალაქო ცენტრის მიერ ორგანიზებულ საიუბილეო კონცერტში, რომელიც ანსამბლ „კრუნკი“-ს სამხატვრო ხელმძღვანელის ნუნუ გრიგორიანის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონცერტი გაიმართა ერევნის სუნდიკიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, სადაც შესრულდა ქართული და სომხური ცეკვები. გარდა ერთობლივი ნომრებისა, ანსამბლმა „აფხაზეთი“ შეასრულა ცეკვა აფხაზური, რომელსაც დარბაზის დიდი ოვაციები მოჰყვა. კონცერტის ბოლოს კი ერთობლივად შესრულდა სომხური ცეკვა „კოჩარი“. საიუბილეო კონცერტს ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკის პირველი ლედი, ასევე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში მეუღლითურთ და საქართველოს საელჩოს სხვა თანამშრომლები.

●ქ.თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,ფერხული“-ს წამყვანი სოლისტი ილიკო აბდელანი მიმდინარე წლის 02 მარტიდან 05 მარტის ჩათვლით იმყოფებოდააზერბაიჯანში, ქ. ბაქოში ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ტრადიციულად მრავალი წელია იმართება და მასში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ფესტივალზე აფხაზეთიდან დევნილი მოცეკვავის მიერ „აფხაზური“-ს შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ფესტივალი გაშუქდა ქ. ბაქოს წამყვანი ტელევიზიით, ინფორმაცია ქართული ანსამბლის შესახებ განთავსდა პრესაში და ინტერნეტსივრცეში.

●აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვ.არქანიას სახელობის არტ-გალერეაში 05 მარტიდან 07 მარტის ჩათვლით შედგა აფხაზეთიდან დევნილი მხატვარ-დიზაინერის ეკატერინე გეგუჩაძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „წითელი ხაზი“. ეკატერინე გეგუჩაძე 2004 წლიდან მუშაობს ქართული და აფხაზური კულტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტების თემაზე ტესტილის დიზაინით. მან არაერთხელ წარმოაჩინა ქართულ-აფხაზური კულტურა სხვადასხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, აფხაზური კულტურის თემა ხელოვნების იმ დარგში, რასაც ტექსტილის დიზაინი წარმოადგენს, რომელსაც დღემდე არც ერთი ხელოვანი არ შეხებია. ამიტომაც, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული გამოფენის მოწყობა, რამაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ ქართული, არამედ აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას და რაც მნიშვნელოვანია ხელოვნების იმ დარგის წარმოჩენას, რასაც ტექსტილის მხატვრობა ჰქვია.

●გურამ ყურაშვილის სახელობის საგუნდო კაპელამ მიმდინარე წლის 07 მარტს, ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ დევნილ ქალბატონებს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი კოლექტივი.
კონცერტმა ზუგდიდელ მაყურებელში, განსაკუთრებით კი დევნილ საზოგადოებაში, დიდი აღფრთოვანება და ოვაციები გამოიწვია. მათ საშუალება მიეცათ ახლოს გაცნობოდნენ საგუნდო მუსიკის შედევრებს, რაც აფხაზეთიდან დევნილმა შემოქმედებითმა კოლექტივმა წარმოჩინა.
● 5 და 14 ივნისს, ა(ა)იპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1"-ის ადმინისტრაციამ, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ორი საიუბილეო კონცერტი ჩაატარა. სკოლის საიუბილეო კონცერტზე მოხდა არა მხოლოდ დევნილობის პერიოდში სკოლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა, არამედ ქართულ-აფხაზური კულტურის პრეზენტაციაც, შესრულდა აფხაზური ხალხური სიმღერები და ცეკვები.

●20-23 აპრილის ჩათვლით შპს სტუდია „შავნაბადა" მიწვეული იყო ქ. სატმბოლში, სადაც ანგლიკანურ ეკლესიში შედგა ანსამბლის სოლო კონცერტი, ხოლო 22 აპრილს კი ჩატარდა ქართულ - აფხაზური მუსიკის მასტერკლასი, რომელსაც ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთად, ქართველები და აფხაზებიც ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ანსამბლმა შეასრულა ყველა კუთხის, მათ შორის აფხაზური ხალხური სიმღერა და ის პოპულარული მელოდები, რომლებიც განსაკუთრებით უყვარს მსმენელს.

● 28 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ქორეოგრაფიული ანსამბლი „დიოსკურია" მიწვეული იყო ქ. ბათუმში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „ოქროს არგო-2018"-ში მონაწილეობის მისაღებად. ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე ანსამბლი სულ რამდენიმე წელია რაც არსებობს, მაგრამ მან უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ანსამბლს დიდი წვლილი შეაქვს არა მარტო ქართულ-აფხაზური ფოლკლორის განვითარების საქმეში, არამედ ქართველი და აფხაზი თანატოლების დამეგობრებასა და მათი კულტურული კავშირების გაღრმავებასაც უწყობს ხელს, ვინაიდან, ანსამბლის ძირითადი საქმიანობა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაციაა.

ანსამბლის წევრებმა, ფესტივალის ფარგლებში, თავიანთი შემოქმედება ფართო საზოგადოებას აჩვენეს. წარმოაჩინეს, თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება-პოპულარიზაციის მიმართულებით ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე.
●მიმდინარე წლის 28 ივნისს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა," შპს გამომცემლობა „სიესტას" მიერ, მიწვეული

იყო ქ. ქობულეთში საბავშვო წიგნების პრეზენტაციაზე სპექტაკლით „გამარჯობა სოხუმო“. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების - „ჰელადოსი“-სა და გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“ მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სავიზიტო ბარათია. აფხაზეთიდან დევნილი თეატრი, ომის უმძიმეს შედეგებზე, დუმბაძისეული კეთილი იუმორით ესაუბრება მაყურებელს და ქმნის უაღრესად ემოციურ, მუსიკალურ, მშვიდობისმოყვარე წარმოდგენას.
ამ სპექტაკლის ჩვენებამ აჭარის რეგიონში ისტორიულად მცხოვრებ აფხაზებსა და აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა მათი თანაცხოვრების წლები.

31 ივლისს გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა კონცერტი სახელწოდებით - "უკვდავი ქართული ჰანგები" ზვიად ბოლქვაძესა და აფხაზეთის კაპელასთან ერთად. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ: ნუკრი კაპანაძე და სოფო ბათილაშვილი. კონცერტის გამართვამ ხელი შეუწყო დევნილი კოლექტივის საგუნდო და საშემსრულებლო ხელოვნების წარმოჩენასა და ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზებას. დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართული საგუნდო მუსიკის შედევრების ახლებურ ვერსიას, რომელიც მაესტრო ზვიად ბოლქვაძის მიერ იქნა დამუშავებული სპეციალურად საგუნდო კოლექტივისთვის.

19 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით ფოლკლორული ცეკვის ჯგუფის „კიდევაც დაიზრდებიან“ წამყვანი სოლისტ-მოცეკვავე ანასტასია აქუბარდია მიწვეული იყო საბერძნეთში ქ. ლუტრაკში დიდი ფოლკლორული ცეკვების დღეების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. საბერძნეთში დიდი ფოლკლორული ცეკვების დღეების ფესტივალი „ელენი ლამნიატი“ ტრადიციულიად მრავალი წელია იმართება. მასში მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებიც თავიანთ ეროვნულ კულტურას წარმოაჩენდნენ. ანასტასია აქუბარდიამ ანსამბლთან ერთად შეძლო ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმოჩენა.

2 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდმა „ლირა“ ქ. ბათუმში გამართა კლასიკური მუსიკის ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში 5 სექტემბერს ქართველი მწერლის გურამ ოდიშარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო „ჩემი სოხუმი“ გაიმართა. მწერალმა გაიხსენა ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ურთიერთობები. საღამოზე სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს გურამ ოდიშარიას მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღსადგენად გადადგმულ ნაბიჯებზე, მის დიდ ღვაწლზე

სახალხო დიპლომატიის ეგიდით წარმართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებზე. საღამოზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთმა“ ქართული და აფხაზური მუსიკალური ფოლკლორული ნომრები შეასრულა.

კონცერტის ჩატარებით გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ურთიერთობებისთვის და კულტურული კავშირების დამყარებისთვის. წარმოჩნდა ქართულ-აფხაზური ფოლკლორი და საშემსრულებლო ხელოვნება. ხაზი გაესვა ტრადიციის აღდგენის მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია ქართველებისა და აფხაზების მეგობრობასთან.

23-30 სექტემბრის ჩათვლით ქართული კულტურის სახლის „ჩვენებურების“ მიერ შპს სტუდია „შავნაბადა“ მიწვეული იყო ქ. სატმბოლში, სადაც ქართულ-აფხაზური მუსიკის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, კონცერტები და შეხვედრები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთდროულად შეისწავლეს ქართულ-აფხაზური ხალხური სიმღერები, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიაზციას საზღვარგარეთ. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები და შემოქმედებითი ურთიერთობები.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი-“ს მეშვეობით აფხაზეთის სახელოვნებო, საჯარო სკოლებისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის სასწავლო-აუდიო წიგნების შეძენა საშუალებას მისცემს დევნილ მოზარდებს მიიღონ სრულფასოვანი სახელოვნებო განათლება და ეზიარონ ქართველი და აფხაზი პოეტების, მწერლების ნაწარმოებებს სასწავლო-აუდიო წიგნების სახით. ეს შესაძლებლობა კი თავისთავად გულისხმობს ქართულ-აფხაზური კულტურის, განსაკუთრებით კი მწერლებისა და პოეტების პოპულარიზაციას. რაც ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი თანატოლების დამეგობრებას, მათ სულიერ აღზრდას და კულტურული კავშირების უფრო მეტად გაღრმავებას.

28-30 სექტემბერს, სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა მიწვეული იყო მარტვილის რაიონში, სალხინოს დადიანთა საშემოდგომო სასახლეში, კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე „სალხინოს სასახლის კამერატა“. კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი „დღეს“ მეოთხე წელია რაც ახორციელებს ამ საერთაშორისო კულტურულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც პირველად იქნა მიწვეული აფხაზეთის საგუნდო კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში ფესტივალმა სხვადასხვა ქვეყნის ორმოცდაათამდე მუსიკოსს უმასპინძლა. წელს კი მონაწილეობდნენ ისეთი მუსიკოსები როგორიცაა: ალექსანდრე კორსანტია, თამარ ლიჩელი და სხვა უცხოელი მუსიკოსები. მათ გვერდით ერთ სცენაზე აფხაზეთის

საგუნდო კაპელამ წარმოადგინა თავისი პროგრამა. ღონისძიებაზე აღინიშნა აფხაზეთიდან დევნილი კოლექტივის წარმატებები და ღირსებები. ფესტივალში მონაწილეობამ ხელი შეუწყო აფხაზეთის საგუნდო კოლექტივის პოპულარიზაციას. ქართლი საგუნდო მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების წარმოჩენას და ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას.

● 14 ნოემბერს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ მიწვეული იყო ქ. ჭიათურაში ქართულ-აფხაზური კულტურის საღამოზე.

● საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელის, დიმიტრი ჯაიანის სახელის უკდავსაყოფად შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც წარმოაჩენს ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მასში გამოყენებული საარქივო ფოტო-ვიდეო მასალები მოგვითხრობენ სოხუმის თეატრის, ომისა და შემდგომი პერიოდის შესახებ. საზოგადო მოღვაწეების მოგონებები კი აცოცხლებენ დიმიტრი ჯაიანის, როგორც ქართულ-აფხაზური კულტურის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის სახელს, რომელიც მუდამ ერთგულ გუშაგად ედგა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს.

● 20 დეკემბერს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ მიწვეული იყო ზესტაფონის კულტურის ცენტრში ქართულ-აფხაზური კულტურის საღამოზე, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე წარსდგა სპექტაკლით.

ზესტაფონის რაიონული ორგანიზაცია და ზესტაფონის გამგეობა ყოველწლიურად მართავს აფხაზეთისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს ზესტაფონის კულტურის ცენტრის ანსამბლები, სამუსიკო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, მათ შორის დევნილი ახალგაზრდები.

● სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა „თეთრი ტალღა“, მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მცხოვრები პატარებისათვის საახალწლო წარმოდგენა გამართა. თეატრმა ბავშვებისათვის ქართულ-აფხაზური საშობაო ტრადიციები გააცოცხლა. საახალწლო წარმოდგენის დასასრულს მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მცხოვრებ პატარებს საახალწლო ტკბილეული და თბილი ტანისამოსი დაურიგდათ, რამაც მათ საახალწლო განწყობა შეუქმნა.

● შპს სტუდია „შავნაბადამ“ 100 ქართულ-აფხაზური სამუსიკო ნიმუში ჩაწერა, რომლის პრეზენტაციაც 28 დეკემბერს ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში შედგა. ფართო საზოგადოებამ, ქართულთან ერთად, აფხაზური სიმღერების შესრულების უძველესი ვერსიებიც მოისმინა, რამაც ხელი შეუწყო როგორც ქართული, ასევე აფხაზური ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ხალხურ მუსიკაში ჩანს ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალექტის მსგავსება, რაც

ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აფხაზური კულტურა ერთიანი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ბუჯეტი: 34 660 ლარი.
ხარჯი: 34 650, 90 ლარი.

„საღამოები“ (060705).

●საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატის გენო კალანდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა.
გენო კალანდიას გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით თავი მოიყარეს პოეტის ოჯახის წევრებმა, ახლობელ-მეგობრებმა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა.
საღამოზე სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს გენო კალანდიაზე, როგორც ქართული პოეზიისა და სიტყვის ოსტატზე, გამორჩეული ხმის პოეტზე, მისი პოეზიის ხიბლზე და თვითმყოფადობაზე, მასზე, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, სოხუმთან განუყოფლობისა და აფხაზეთიდან დევნილობასთან შეურიგებლობის მისეულ განცდაზე, იმაზე, რომ პოეტს თან გაჰყვა მოურჩენელი ტკივილი აფხაზეთზე.
საღამოს მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც მსახიობების მიერ წაკითხული გენო კალანდიას ლექსებითა და ანსაბლ „აფხაზეთის“ მიერ შესრულებული სიმღერებით შეიკრა.

● ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „კონგრეს-ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართა აფხაზეთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების კონკურსი-დათვალიერება. ჟიურის წევრები იყვნენ: აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ მთავარი ქორეოგრაფი ანგული ქავთარაძე, აფხაზეთის ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარე თეიმურაზ დარჯანია, ანსამბლ „ერისიონის“ ყოფილი სოლისტი და ამჟამად ანსამბლ „სიონის“ მთავარი ქორეოგრაფი მაია მამალაძე. ჟიურის თავმჯდომარე იყო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ჯაბა ჯაიანი.

ჟიურიმ კონკურს-დათვალიერებაში მონაწილე ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებს შორის გამარჯვებულები 6 ნომინაციაში გამოავლინა, ამასთანავე კონკურსში მონაწილე კოლექტივებს გადაეცათ სიგელები.

19 ნოემბერს, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობისა და დირექტორის კახაბერ შარაბიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, სადაც დამსწრე საზოგადოებამ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი

ფოტო და ვიდეო მასალისგან მომზადებული ვიდეო-კოლაჟი იხილა. მსახიობებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა და თეატრმცოდნეებმა ხელოვანის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა გაიხსენეს. ღონისძიების დასასრულს მსახიობს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მადლობის სიგელი და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი გადაეცა.

ბიუჯეტი: 3 800 ლარი.

ხარჯი: 3 650 ლარი.

„აფხაზეთის დღე“ (060709).

პროგრამის დასაბუთება:

დევნილი მოსახლეობა უკვე 25 წელია რაც მოწყვეტილია მშობლიურ მიწა-წყალს, სანატრელ კუთხეს. ამდენი ხნის მიუხედავად, კვლავაც პრობლემად და უკვე ოცნებად რჩება საკუთარ სახლში დაბრუნების სურვილი. ამ ყველაფრის ფონზე აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება და სრულიად საქართველო სასურველია უფრო მეტად იყოს ჩართული აფხაზეთთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაციით დაკავებული შემოქმედებითი ჯგუფების წარმოჩენა, მათი მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. აფხაზეთის დღის სახალხო ზეიმად ქცევა, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება კიდევ უფრო ახლოს გაიცნობს აფხაზეთის კულტურას, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზურ შერიგებას და ურთიერთობების აღდგენას.

მიღწეული შედეგები:

●21 მაისს, საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა გაიხსნა სახელწოდებით „აქ ერთად ვართ...“

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური

კორპუსის წარმომადგენლებს ეროვნულ არქივში გამართულ ფოტო-გამოფენაზე უმასპინძლეს.

ფოტო-გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების მეგობრული ურთიერთობებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ამსახველი უნიკალური ფოტოები.

●22 მაისს, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, „თბილისის ივენთჰოლში“ გამართა კონცერტი სახელწოდებით: „ქართული მუსიკა ზვიად ბოლქვაძესა და აფხაზეთის კაპელასთან ერთად“. საგუნდო კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა განახლებული პროგრამით, რომელსაც უდიდესი წარმატება და გამოხმაურება მოჰყვა.

კონცერტზე საქვეყნოდ აღიარებული ქართული სიმღერები კაპელასთან ერთად შეასრულეს ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა: ნუკრი კაპანაძემ, ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა და ნეკა სებისკვერაძემ. კონცერტს, რომელმაც მაყურებლის აღფრთოვანება და დიდი ოვაციები გამოიწვია, ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

●23 მაისს, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთმა“, „აფხაზეთის დღესთან“ დაკავშირებით, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაარსების 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საანგარიშო კონცერტი გამართა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, ლევან ღვინჯილიას ხელოვნების ქურუმის ჯილდო გადასცა, ხოლო ანსამბლის წევრებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი მადლობისა და საპატიო სიგელები გადაეცათ. საიუბილეო საღამოს დასაწყისში ანსამბლის 40 წლიანი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმი იყო ნაჩვენები. კოლექტივი მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგა. კონცერტის ბოლოს კი ანსამბლის ყოფილ და მოქმედ წევრებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ, კერძოდ, ანსამბლის ვეტერან წევრებს - საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენები, ხოლო აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილ მთავარ ქორეოგრაფს, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეს თეიმურაზ დარჯანიას და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს სერგო გეგეჭკორს - საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალების ორდენი“. ანსამბლ „აფხაზეთის“ საიუბილეო-საანგარიშო კონცერტს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება დაესწრო.

ბიუჯეტი: 16 680 ლარი.

ხარჯი: 16 590 ლარი.

„საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“ (06 07 03)

27-28 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ უმასპინძლა 4-14 წლამდე ასაკის დევნილ ბავშვებს. მოზარდების საახალწლო განწყობის შესაქმნელად სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა „თეთრი ტალღა“ კარლო კოლოდის ზღაპარი „პინოქიო“ წარმოადგინა. სპექტაკლი გაიმართა 4-ჯერ და მას დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი 1000 მოზარდი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველა ბავშვს დაურიგდა საჩუქრები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: **7 500 ლარი.**

ქვეპროგრამის ხარჯი: **7 500 ლარი.**

არასაბიუჯეტო ღონისძიებები:

6,7,8 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ- გალერეაში თვითნასწავლი მხატვრის მაია დუგლაძის პირველი პერსონალური გამოფენა-გაყიდვა „რეინკარნაცია“ გაიმართა.

მაია დუგლაძე თვითნასწავლი მხატვარია. ბავშვობიდან ხატავს, თუმცა ბოლო პერიოდში მისმა ნამუშევრებმა განსაკუთრებული სიმძაფრე და შინაარსი შეიძინეს, რისი ინსპირირებაც მისი თქმით „მოულოდნელი დანაკარგის განცდამ“ განაპირობა. სწორედ ამიტომ ეწოდა გამოფენას „რეინკარნაცია".

8 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში განთავსებულ სავაჭრო ცენტრში ფესტივალი ,,გზა ერთობისაკენ“ - რუხი 2018“ გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, დამსწრეთა წინაშე გამოვიდნენ აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და ანსამბლი ,,გორდელა“. აფხაზეთის კაპელამ წარმოადგინა ახალი პროგრამა ,,ქართული მუსიკა ზვიად ბოლქვაძესა და აფხაზეთის კაპელასთან ერთად“. იქვე მოეწყო ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა ,,ჩვენ აქ ერთად ვართ.“

11 სექტემბერს ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში მწერალ ამრიდონ ჩეგიანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

28-30 სექტემბერს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა აფხაზეთის ტრაგედიის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საინფორმაციო გამოფენა-აქცია WE REMEMBER (გვახსოვს!), რომლის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი "ABKHAZETI" და ლატვიის ქართველთა საზოგადოება "GEORGIKA." . გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტისა და ფოტოკორესპონდენტ მალკოლმ ლინტონის (Malcolm Linton) და ჯონ ჯონეს (Jon-Johnes) მიერ გადაღებული ფოტოები.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური

<u>პრიორიტეტის დასახელება:</u>

<u>აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა.</u>

პროგრამა ხელს უწყობს აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერებას და მისი როგორც საერთო იდენტობის ნაწილის გააზრებას ქართულ კულტურასთან მიმართებაში.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართულნი იქნებიან დიპლომატიური კორპუსები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, ახალგაზრდები, ამ სფეროს სხვა ინტერესთა ჯგუფები და სკოლის მასწავლებლები, რომლებიც მიიღებენ უახლეს ინფორმაციას აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ. პროგრამის ფარგლებში კუტლურული მემკვიდრეობის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ორგანიზაციებთან ერთად იქნება მცდელობა დაიწყოს მუშაობა ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებაზე.

აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდები მიღებენ ინფორმაციას აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა შესახებ და გააცნობიერებენ, რომ - ახალგაზრდობა ის თაობა რომელმაც მომავალში უნდა უზრუნველყოს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, მისი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და გადაცემა.

,,აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ იქნა პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, შემდეგი ქვეპროგრამები:

1.ქვეპროგრამა: „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების ონლაინ რუკა.“

სამინისტრომ 2016 წელს მსგავსი პროექტი უკვე განახორციელა, რის შედეგად გამოიცა „აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკა“ (ქართულ ენაზე), რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია. კერძოდ, რუკით დაინტერესდნენ უცხოელი სპეციალისტები და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელებიც, რამაც გარდაუვალი გახადა რუკის ინგლისური ვერსიის დაბეჭდვის აუცილებლობა. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ პროექტმა გამოიწვია დიდი ინტერესი და რამდენადაც არსებობენ ჯგუფები, რომელთა დაკმაყოფილება ვერ შევძელით, გამოიცა აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლების დეტალური რუკის ინგლისური ვარიანტი, რომელზეც აგრეთვე დატანილ იქნა აფხაზეთში არსებული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შესაბამისი აღნიშვნებით, კოორდინატებითა და მისი მდგომარეობის გათვალისწინებით განმასხვავებელი ფერებით (A1 ფორმატით, ფერადი, მაღალი პოლიგრაფიით, 400 ცალი).

შედეგები:

აფხაზეთის ხუროთმოძღვრულ რუკაზე საერთო ჯამში დატანილ იქნა 176 (ას-სამოცდათექვსმეტი) არქიტექტურული ნაგებობის კოორდინატი, არსებული მდგომარეობის მითითებით. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად დაიბეჭდა 400 (ოთხასი) ცალი აფხაზეთის ა/რ არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკა.

ბიუჯეტი: 1000 ლარი.
ხარჯი:750 ლარი.

2.ქვეპროგრამა: ,,საგანმანათლებლო - საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის“ 06/10/08.

აფხაზეთის საჯარო სკოლის და აფხაზეთის ადგილობრივი დევნილი მოსწავლეები სოციალური პირობების გამო ნაკლებად არიან ჩართულნი საქართველოს ისტორიული ადგილების გაცნობა-შესწავლის პროცესში. შესაბამისად, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეები სათანადოდ არ იცნობენ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, სწორედ ამ პრობლემების მოგვარებისაკენ არის მიმართული ქვეპროგრამით

გათვალისწინებული აქტივობები. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის საქართველოს რეგიონებში შემეცნებითი ტურების განხორციელებას, ისტორიული ადგილების მონახულება-გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდებში ისტორიულ-არქიტექტურული სტილის აღქმას, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ცოდნის ამაღლებას.

შედეგები:

05/09.07.2018წ. სენაკის რაიონში, კერძოდ სოფელ ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მოეწყო კარვების ქალაქი (ხანგრძლივობა 5 დღე), რომელშიც განთავსდნენ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოზარდები. მათ შორის მონაწილეობდნენ ქ. თბილისის საჯარო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე სამინისტროს მიერ გამართულ ახალგაზრდულ კონფერენციაში - „აფხაზეთი - წარსული და დღევანდელობა“ თავი გამოიჩინეს. (სკოლის მოსწავლეები -41).

მოსწავლე-ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით, საძილე ტომრებით, ე.წ. პარალონებითა და კარვებით;

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისათვის განხორციელდა მრავალმხრივი აქტივობები, როგორც შემეცნებითი აგრეთვე სპორტულ-გასართობი შინაარსის, რომლის განხორცილებაშიც ჩვენ პარტნიორი ორგანიზაციის - "კოდის სათემო განათლების ცენტრი"-ს წარმომადგნელები იყვნენ ჩართულნი, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ახალგაზრდებთან სამოქალაქო-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორცილების თვალსაზრისით.

მოზარდები დაესწრნენ ამ ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელსაც ბრიტანული ექსპედიცია ხელმძღვანელობს და მიიღეს ინფორმაცია არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის დათარიღების შესახებ. მოაწყვეს ლაშქრობა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე.

"კოდის სათემო განათლების ცენტრის" მოხალისეებს გადაეცათ მადლობის სიგელები, საველე ბანაკში სამოქალაქო-შემეცნებითი აქტივობების წარმატებით განხორციელებისათვის.

ბიუჯეტი:3 530 ლარი.
ხარჯი: 3 530 ლარი.

3.ქვეპროგრამა: „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაცია-საზღვარგარეთ" 06/10/04.

აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად ჩვენ მკვლევარებს არ აქვთ შესაძლებლობა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულებისა და შესაბამისად კვლევითი სამუშაოების ჩატარების. სწორედ ამიტომ გარდაუვალი გახდა თავის დროზე არსებული მასალების ხელახალი გამოცემა და განახლება, ვინადიან, აღნიშნული წიგნი ერთ-ერთი ყველაზე მიუკერძოებელი და სრულყოფილი ნაშრომია აფხაზეთის ხუროთმოძღვრების კვლევის დარგში. იგი დღემდე აფხაზეთის ხუროთმოძღვრების შემსწავლელთათვის ძირითად გზამკვლევად მიიჩნევა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ორ აქტივობას:

ლევან (ლეო) რჩეულიშვილის 1988 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის - ,,Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии" თარგმნას ქართულ ენაზე და ხელახლა გამოცემას განახლებული ილუსტრაციებით.

ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) აფხაზეთის კოლტურული მემკვიდრეობის ალბომის გამოცემას.

ახალი გამოცემები მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო თვალსაზრისით, რამეთუ იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ინდიკატორი ომამდე არსებული და ამჟამინდელი მდგომარეობის შესაფასებლად, ოკუპანტების მიერ განხორციელებული ვანდალური ქმედებების სწორად განსაზღვრისათვის, ხოლო სამეცნიერო თვალსაზრისით, მეცნიერულ ბრუნვაში შემოვა ღირებული ნაშრომი, რომელიც თავის დროზე მცირე ტირაჟით იქნა გამოცემული.

შედეგები:

- კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ლევან რჩეულიშვილის საარქივო მასალებზე მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა წიგნის სრულყოფილად გამოცემა;
- ლევან (ლეო) რჩეულიშვილის 1988 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი - ,,Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии" ითარგმნა ქართულ ენაზე და ხელახალი გამოცემა შეივსო დამატებით ახალი ილუსტრაციებით;
- ლევან (ლეო) რჩეულიშვილის ხელახალი გამოცემა - „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში" წარმოდგენილია ორ ქართულ და რუსულ

ენაზე, მათ შორის ხელახალი გამოცემის რეზიუმე ითარგმნა გერმანულიდან ინგლისურ ენაზე.

- დასრულდა მუშაობა ლევან რჩეულიშვილის წიგნის გამოსაცემად საჭირო მასალის თავმოყრაზე და მათ დამუშავებაზე;
- დასრულდა მუშაობა ალბომის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი - მოკლე მიმოხილვა“ გამოცემაზე, რომელშიც შესულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ილუსტრაციები. ალბომში აფხაზეთის ა/რ მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია უახლესი ფოტო-მასალით, ამ ეტაპზე გამოცემის ძირითადი ნაწილი დაეთმო აფხაზეთის ა/რ არამატერიალური კულტურულ მემკვიდრეობას, რომლებიც დღესდღეობით დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში;
- ალბომი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი - მოკლე მიმოხილვა“ წარმოდგენილია ორ ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ბიუჯეტი: 6 000 ლარი.
ხარჯი: 4 880 ლარი.

<u>4.ქვეპროგრამა: ფოტოკონკურსი ,,აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“</u>
(№06 10 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ფოტოკონკურსი, გამოქვეყნდა ფოტოკონკურსის ცირკულარი. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და ზოგადად დაინტერესებულმა პირებმა მიუხედავად მათი ასაკისა და მოქალაქეობისა. მათ თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კონკურსის ცირკულარის მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელეს აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტო ფიქსაცია.
ფოტოკონკურსის ფარგლებში შემოვიდა: ანაკოფის ციხის ამსახველი ფოტო-მასალა; ახალი ათონის ეკლესიის; ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის; სათანჯოს ჯიხას (ჭუბურხინჯი); ფიჩორის ეკლესიის; ალოიზის სასახლის; არქიტექტურული ნაგებობისა (საცხოვრებელი სახლი) და სოფელი წარჩეს ორი ეკლესიის ამსახველი ამჟამინდელი ფოტო-მასალა. ფოტოკონკურსის ფარგლებში, სამინისტროში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გამოავლინა გამარჯვებულები (3 გამარჯვებული), რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით (მობილური ტელეფონები).

ბიუჯეტი: 2700 ლარი.
ხარჯი: 2 519.97 ლარი.

5.ქვეპროგრამა: „სამეცნიერო კონფერენცია“
(06/10/01)

კონფერენცია გაიმართა თემაზე - ,,კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე.“ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგენილ იქნა უახლესი შრომები აფხაზეთის თემატიკასა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ამ კუთხით ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციაზე ოფიციალურად მოწვეული იყვნენ ამ მიმართულებით მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა. კონფერენციაზე წარმოდგენილი შრომები გამოიცემა კრებულად და გავრცელდება სამეცნიერო წრეებში, დაეგზავნება ყველა დიდ ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტს, ასევე აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების სამკითხველოებსა და ოკუპირებული გალის რაიონში განთავსებულ საშუალო სკოლებს, ასევე თითოეულ მონაწილეს გადაეცემა კრებულის 2 ეგზემპლარი. კონფერეცნიის დასასრულს მომხსენებლებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

ბიუჯეტი: 3 500 ლარი.
ხარჯი: 3 500 ლარი.

საანგარიშო პერიოდში არასაბიუჯეტო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მოკლე აღწერა:

- **11/12.01.2018წ.** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (იმსა) კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ასოციაციის დაარსებიდან 20 წლისთავს (1997-2017). კონფერენციას ესწრებოდნენ ასოციაციის წევრები თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან. ასევე სტუმრები სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებიდან.
- **20.01.2018წ.** გაიმართა ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ქართულენოვანი ვიკიპედიის ერთობლივი, ერთდღიანი ვიკი-ბანაკი. ასოციაციასთან არსებული „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ თხუთმეტმა მოსწავლემ ქართულ ვიკიპედიაში ატვირთეს სტატიები აფხაზეთის ა/რ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მომზადებულ იქნა აფხაზეთის ა/რ

განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ. სულ აიტვირთა 140 სტატია ქართულ ენაზე. ეს არის რეკორდული რაოდენობა ქართული ვიკიპედიისთვის ერთ დღეში ატვირთული სტატიების თვალსაზრისით.

- **01.03.2018წ.** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ქ. თბილისის საჯარო სკოლებში განხორციელდა პროექტი ,,გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ.“ მიმდინარე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პროექტის განხორციელების მიზნით, ქ. თბილისის 5 (ხუთი) საჯარო სკოლა შეარჩია (№4, №161, №21, №175, №87). ლექციების ციკლი მოიცავდა საქართველოს ისტორიას აფხაზეთის ჭრილში - ანტიკური პერიოდიდან დღემდე, რომლის მიზანია ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებში აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავება. პროექტის მხარდამჭერთა შორის იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვისა, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურები. სალექციო კურსს ხელმძღვანელობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა, ზურაბ პაპასკირი, ლია ახალაძე. მათთან ერთად პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ა/რ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ლექციებს კითხულობდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი - პროფესორი ირაკლი გელენავა, უფროსის მოადგილე - ხელოვნებათმცოდნე გიორგი პატაშური და უფროსი სპეციალისტი - ქეთევან დავითაია.
- **22.05.2018 წ.** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, გამართა ახალგაზრდული კონფერენცია თემაზე: „აფხაზეთი - წარსული და დღევანდელობა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იმ მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა, რომლებმაც პროექტის ფარგლებში ,,გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ“ლექციები მოისმინეს. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ აფხაზეთის მეორე და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეები. ახალგაზრდული კონფერენციაში აუდიტორიის წინაშე გამოვიდა 14 (თოთხმეტი) მომხსენებელი, რომელთაც კონფერენციის დასასრულს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მადლობის სიგელები გადასცა.
- **29.06.2018წ.** კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები დაესწრენ ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ ღონისძიებას, სადაც შეხვედრაში მონაწილეობდნენ კულტურული მემკვიდრეობის ქართველი ექსპერტები, ხოლო

მომხსენებლები იყვნენ იტალიელი რესტავრატორები, რომლებმაც ევროსაბჭოს მოწვევით ქ.სოხუმში გამართეს ტრენინგები არქიტეტურისა და მონუმენტური მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაციის მიმართულებით. ვიზიტის დროს იტალიელმა რესტავრატორებმა მოინახულეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მოგვაწოდეს უახლესი ინფორმაცია ამ ძეგლების შესახებ. კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს თავისი ურყევი პოზიცია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ქართული მხარის ჩართულობით.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

პრიორიტეტის დასახელება : სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა(06 08)

პროგრამის დასაბუთება:

სპორტი წარმოადგენს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოზარდების გაჯანსაღების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ მიმართულებას, ნარკომანიასა და სხვა მავნე ჩვევებთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას, კრიმინოგენური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე რეალურ გზას, რის გამოც ძალზე მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევაში.

პრიორიტეტის ძირითადი მიზანია საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის მზადება, ისეთი სპორტული ღონისძიებებზე მოზარდების დასწრება, რომლებიც დევნილ მოსახლეობაში ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. კონკრეტულ მიზანს კი შეადგენს: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხარისხის ამაღლება, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩაბმა ფიზიკურ აქტივობებში.

დევნილი გუნდები განიცდიან მატერიალურ სიდუხჭირეს. აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო ეხმარება მათ სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში, ქვეყნის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში.

ბიუჯეტი: 92 905 ლარი.
ხარჯი:90 152 ლარი.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული ქვეპროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა და მიზნები

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სამინისტრომ განახორციელა:

1. **სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა (06 08 01)**

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა და ვეტერან სპორტსმენთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და პროპაგანდა, აფხაზეთის სპორტსმენების და მწვრთნელების ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ეხმარება დევნილი სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში, ქვეყნის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში. ეს ხელს შეუწყობს სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვაში, სხვადასვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მიღებაში, რაც იქნება მოსამზადებელი ეტაპი, რათა აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები მოხვდნენ საქართველოს ნაკრებ გუნდებში და ღირსეულად წარმოაჩინონ ქვეყნის სახელი.

ააიპ საკალათბურთო კლუბის „სოხუმი“ მგზავრობა ქ. ქუთაისში საქართველოს სუპერლიგის გასვლით მატჩზე.

ღონისძიების შედეგი:
დაფინანსდა მგზავრობის ხარჯები მიმართულებით: თბილისი-ქუთაისი-თბილისი საკალათბურთო კლუბ „სოხუმი“-ს სპორტსმენების მგზავრობა. კლუბმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სუპერლიგის 2017-2018 წლების გათამაშებაში.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 9 მარტი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.ქუთაისი. საკალათბურთო დარბაზი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურისათვის 46 ცალი

სპორტული ფორმისა და 6 ცალი ბურთის შეძენა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ში აფხაზეთის სკოლის გუნდების რეგიონალურ ფინალურ თამაშებში მონაწილეობისათვის.

ღონისძიების შედეგი:
„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“ -ში აფხაზეთის სკოლის გუნდების რეგიონალურ თამაშებში მონაწილეობა, რომელიც გაიმართა აპრილში. ოლიმპიადის ბოლოს გამოვლინდა აფხაზეთის რეგიონის გამარჯვებული გუნდები, რომელთაც გააგრძელეს ბრძოლა ქვეყნის რეგიონებს შორის გამარჯვებულ სკოლის გუნდებს შორის.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის აპრილი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი უზნაძის №68

აფხაზეთის მოფარიკავეთა ნაკრების წევრი სპორტსმენების ქ. ანტალიაში (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა.

ღონისძიების შედეგი:

აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მონაწილეობა ფარიკაობაში საერთაშორისო ტურნირზე ქ. ანტალიაში (თურქეთი) . სპორტული ოსტატობის ამაღლება და გამოცდილების მიღება.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 12-20 აპრილი ქ. ანტალია (თურქეთი)
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. ანტალიაში (თურქეთი)

დაფინანსდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის პროექტი “მეგობრობა გზად და ხიდად.“

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ბავშვებისა და ვეტერანი სპორტსმენების მონაწილეობა სხვადასხვა მასობრივ სპორტულ შეჯიბრებებში. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 25 მაისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი გლდანის სპორტული კომპლექსი.

სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის მოჭიდავეთა გუნდებისათვის საჭიდაო ტრიკოების-„ფინკები“-ს შეძენა.

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთის მჭიდავეთა გუნდების ხელშეწყობა საქართველოს ჭიდაობის 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობისათვის. სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის მოჭიდავეთა გუნდები წარბატებით ასპარეზობენ და დაკომპლექტებული არიან ძირითადად დევნილი სპორტსმენებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 22 მაისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68

საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული მიღწევების მქონე მოღვაწეთა და მოგზაურთა ხელშემწყობა და მის ფარგლებში კავშირ „გიორგი"-ს დაფინანსება.

ღონისძიების შედეგი: სპორტის ახალი, განსაკუთრებული სახეობის განვითარების ხელშეწყობა. სპორტის სახეობის -„მენჩურუა" პოპულარიზაციის მიზნით ლიტერატურული მასალების გამოქვეყნებისათვის დახმარების გაწევა.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის ივნისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68

დაფინანსდა აფხაზეთის რაგბის ფწდერაცია სპორტის ამ სახეობაში ფესტივალის ჩასატარების მიზნით.

ღონისძიების შედეგი:
სპორტის პოპულარული სახეობის „რაგბის" განვითარების ხელშეწყობა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენებმა, ასევე აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოზარდების გუნდმა ,,გალი."

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 2-3 ივნისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.ასპინძა.

დაფინანსდა წლიური ლიცენზიის გადასახადით ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სპორტსმენი ლუკა გეჯაძე.
ღონისძიების შედეგი: საქართველოსა და საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება. სპორტული ოსტატობის ამაღლება.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის ივნისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68

დაფინანსდა სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის ძალოსანთა გუნდი.

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში. სპორტული ოსტატობის ამაღლება და გამოცდილების მიღება.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 31 მაისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. ქუთაისი.

დაფინანსდა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა ძიუდოისტების სიმონ ფეიქრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა.

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატზე, სპორტული ოსტატობის ამაღლება და გამოცდილების მიღება.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 6-8 ივლისს.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. ბათუმი.

დაფინანსდა აფხაზეთიდან დევნილი, ძალისმიერ სამჭიდში ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ირაკლი ცხოვრებაშვილის ევროპის თასზე მონაწილეობა.

ღონისძიების შედეგი:

ირაკლი ცხოვრებაშვილმა ევროპის თასზე მონაწილეობისას 90 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა 1 ადგილი და დაამყარა მსოფლიო რეკორდი .

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 11-12 აგვისტო.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: უკრაინა ქ.კიევი.

საქართველოს ამპუტანტთა ასოციაციის მიერ ტრადიციულად ორგანიზირებული აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირის „აფხაზეთის თასი“ ნაწილობრივი დაფინანსება.

- ღონისძიების შედეგი:
- ამპუტანტ ფეხბურთელთა შორის ჩემპიონი გუნდის გამოვლენა, მზადება ანალოგიური ტიპის საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის.
- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 24-26 სექტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. თბილისი.

დევნილი მორაგბეებისათვის 25 წყვილი სპორტული ფორმის შეძენა.

ღონისძიების შედეგი:

აფხაზეთის ბავშვთა რაგბის გუნდების ხელშეწყობა.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 28 საქტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის №68.

სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის საფეხბურთო გუნდისათვის სპორტული ფორმის შეძენა.

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდის ხელშეწყობა საქართველოს 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობისათვის. სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის გუნდები დაკომპლექტებულია ძირითადად დევნილი სპორტსმენებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 28 სექტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ,,აფხაზეთი „-ს დაფინანსება.

აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდის ხელშეწყობა საქართველოს 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობისათვის. გუნდი დაკომპლექტებულია ძირითადად დევნილი სპორტსმენებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 28 სექტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის საფეხბურთო გუნდისათვის სპორტული ფორმის შეძენა.

ღონისძიების შედეგი:
აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდის ხელშეწყობა საქართველოს 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობისათვის. სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის გუნდები დაკომპლექტებულია ძირითადად დევნილი სპორტსმენებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 28 სექტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68

ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ,,აფხაზეთი „-ს დაფინანსება.

აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდის ხელშეწყობა საქართველოს 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობისათვის. გუნდი დაკომპლექტებულია ძირითადად დევნილი სპორტსმენებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 28 სექტემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

ახალგაზრდული მედია -კავშირის დახმარება ვიდეორგოლის მოსამზადებლად და კალენდრის გამოსაცემი თანხით.

განხორციელების პერიოდი: 08/10/2018წ.
განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

შპს „ჯი აი თი დარი“- ს სატრანსპორტო მომსახურება.

განხორციელების პერიოდი: 31/10/2018წ.

განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

აფხაზეთის რაგბის ფედერაციის დაფინანსება რაგბის ფესტივალის ჩასატარებლად.

ღონისძიების შედეგი: სპორტის პოპულარული სახეობის „რაგბის“ განვითარების ხელშეწყობა. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობს საქართველოსა და აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები ასევე აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოზარდები.
- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის ნოემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი, სარაგბო მოედანი.

დახმარება გაეწია აფხაზეთის კალათბურთის ფედერაციას.

- განხორციელების პერიოდი: 19/11/2018წ.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის დაფინანსება სპორტული სურათების გამოფენასთან დაკავშირებით.

- განხორციელების პერიოდი: 20/11/2018წ.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68

ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ,,აფხაზეთის“ იჯარის გადასახადის დაფინანსება.

განხორციელების პერიოდი: 26/11/2018წ.

- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

მგზავრობის დაფინანსება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე სპოტსმენებისთვის.

- განხორციელების პერიოდი: 06/12/2018წ.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

აფხაზეთის ოკუპირებული გალის რეგიონში არსებული 30 სკოლისათვის სპორტული ინვენტარის შეძენა.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის დეკემბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

შედეგები:

აფხაზეთიდან დევნილი გუნდების, ახალგაზრდა და ვეტერან სპორტსმენების, მწვრთნელების ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, მსოფლიო სპორტულ მიღწევებში ხელის შეწყობა, პრიფესიონალ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება, სპორტული ოსტატობის განვითარება.

ბიუჯეტი: 67 780 ლარი.

ხარჯი: 66 761, 74 ლარი.

ტურნირები და აფხაზეთის ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (060802).

ა) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართა 2017 წლის 27-29 აპრილს.
აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო ზემო აფხაზეთისა და დაბა წყნეთის საჭიდაო ბაზაზე არსებული გუნდები. შეჯიბრება ჩატარდა 2003-2005 ასაკობრივ 14 წონით კატეგორიაში:
საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომებით და მედლებით. პირველ ადგილებზე გასულები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.
განხორციელების პერიოდი 2018 წლის 23-25 მარტი.
განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის №134-ში არსებული საჭიდაო კომპლექსი.

ბ) აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში.

აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში ჩატარდა 2018 წლის 15 აპრილს, აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მძლეოსნებმა. თითოეული სპორტსმენი მონაწილეობდა პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახეობებში. დაძაბულ ასპარეზობებში გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები. პირველობა ჩატარდა მძლეოსნობის შემდეგ სახეობებში: სიგრძეზე ხტომა, რბენა 1000 მ, რბენა 100 მ, ჭოკით ხტომა, სამმხტომი, ბადროს კვრა.
აფხაზეთის ღია პირველობაში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 15აპრილი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი დ.იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის სასახლე, წერეთლის გამზირი 95-ა.

გ) აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში.

აფხაზეთის ღია პირველობა აღნიშნულ სახეობაში ჩატარდა 2003-2005, 2006-2007 წ.წ.-ში დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის ხმალით, რაპირითა და დაშნით ფარიკაობაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის (ვლადიკავკაზი) სპორტსმენებმა. საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლების

შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები, რომლებიც დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს დიპლომებით, თასებითა და მედლებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 3-5 მაისი
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. თბილისი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის სპორტული დარბაზი, ჭავჭავაძის გამზირი 49-ა.

დ) გენო ზარიას სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში.

ამ ტიპის სპორტული ასპარეზობები ხელს უწყობს აფხაზეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში დასაქმებული საჯარო მოხელეების დაახლოებას, მათ შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ამაღლებასა და მეგობრული ურთიერთობების გამყარებას.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 13-15 ივნისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, გოძიაშვილის პარკის მიმდებარე ტერიტორია.

ე) ტურნირი ჯომარდობაში- აფხაზეთის თასი.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა ბენეფიციარმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების გუნდებმა, აფხაზეთის სპორტული ფედერაციების გუნდებმა.
ღონისძიების შედეგი:
შეჯიბრის შედეგად გამოვლენილი იყო სამი საუკეთესო გუნდი:
პირველი ადგილი - აფხაზეთის რაგბის ფედერაციის გუნდი;
მეორე ადგილი - აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს გუნდი;
მესამე ადგილი - აფხაზეთის ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის გუნდი.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 23 ივლისი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: საქართველო, ქ.ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩითახევი.

ვ) აფხაზეთის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გაიმართა 2018 წლის 30 სექტემბერს.
აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო ზემო აფხაზეთის გუნდი და დაბა წყნეთის საჭიდაო ბაზაზე არსებული გუნდი. შეჯიბრება ჩატარდა 14 წონით კატეგორიაში:
საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომებით და მედლებით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 29-30 სექტემბერი. .
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის №134-ში არსებული საჭიდაო კომპლექსი.

ზ) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ დარახველიძის სახელობის ტურნირი კალათბურთში

ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გაიმართა 2018 წლის 25-26 ოქტომბერს. აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო საკალათბურთო გუნდი „სოხუმი“ რომელმაც დაიკავა საპატიო პირველი ადგილი. შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის. 25-26 ოქტომბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას 3, ვერის ბაღის ტერიტორიაზე არსებული საკალათბურთო დარბაზი.

თ) აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში.

ქ.თბილიში, 2018 წლის 30 ოქტომბერს, ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცის მხარდაჭერით ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში (სწრაფი ჭადრაკი). შეჯიბრება დაიწყო 10.00.სთ. აფხაზეთის ღია პირველობაზე ჭადრაკში მონაწილეონა მიიღეს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეებით დაკომპლექტებულმა ჭაბუკთა და გოგოების გუნდებმა, ასევე მოწვეულმა სპორტსმენებმა.
ჭადრაკის ტურნირზე დაძაბულ პაექრობაში გამოვლინდენ გამარჯვებულები, საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.
- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის. 30 ოქტომბერი.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას 3 ჭადრაკის სასახლე.

ი) აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში.

ტურნირი ძიუდოში გაიმართა 2018 წლის 3-4 ნოემბერს, შეჯიბრება ჩატარდა 14 წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

- განხორციელების პერიოდი: 2018 წლის 3-4 ნოემბერს.
- განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის №134-ში არსებული საჭიდაო კომპლექსი.

ბიუჯეტი: 22 700 ლარი.
ხარჯი: 22 700 ლარი.

2. ქვეპროგრამის დასახელება:

,,ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოვება“ (060804)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელი და ფასიანი საჩუქრები გადაეცა აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ ვეტერან მუშაკებსა და სპორტსმენებს:

1. მიხეილ ჯიშკარიანი,
2. სოსო მალანია,
3. დავით ხურცია,
4. სიმონ დარახველიძე,
5. მიხეილ ცანავა,
6. ვაჟა რეჭია,
7. მარიამ ჭანტურია,
8. ზურაბ სოხაძე,
9. ლაშა მიქავა.

განხორციელების პერიოდი: 14/12/2018წ.
განხორციელების ადგილი/მისამართი: ქ.თბილისი უზნაძის № 68.

ბიუჯეტი: 2 425 ლარი.
ხარჯი: 691 ლარი.

არასაბიუჯეტო ღონისძიებები:

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, რომელთა ჩასატარებლად განათლების სამინისტროს საბიუჯეტო სახსრები არ იყო მოთხოვნილი.

აღნიშნული აქტივობების მიზანი არის ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, მოზარდ-ახალგაზრდობის ჩართულობის გააქტიურება სამოქალაქო და საზოგადებრივ აქტივობებში.

განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ამა წლის 30-31 მარტს ქ. ზუგდიდში გაიმართა აფხაზეთის ჩემპიონატი დევნილ მოსწავლე ახალგაზრდებს შორის ჭადრაკში.
- ამა წლის 2 აპრილს გაიმართა წინასაარჩევნო შეხვედრა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით.
- მარტში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში, ოლიმპიური კვირეულის დღეებთან დაკავშირებით, სადაც განიხილეს 2018 წლის პროექტები.
- 26 თებერვალს აფხაზეთის ძალისმიერი სამჭიდის ასოციაციამ ჩაატარა საერთაშორისო ტურნირი ძალისმიერ სამჭიდში. სპორტსმენმა აფხაზეთიდან ირაკლი ცხოვრებაშვილმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი წოლჭიმში (261 კგ.)
- 25 აპრილს ქ. ზუგდიდში სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ჭადრაკის შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლემ.
- აფხაზეთის ოლიმპიური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 23 ივნისს ქ. თბილისში, კუს ტბაზე ჩატარდა ოლიმპიური გარბენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მდე აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდმა.
- 1 ივლისს ქ. გორში, სპორტულ მასობრივ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო 25-მდე აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდამ. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობებში: კალათბურთი, ფეხბურთი, სირბილი სხვადასხვა დისტანციებზე, ბაგირის გადაძალვა, სპორტული ვიქტორინა.
- 10 ივლისს ქ.თბილისში, გლდანის საფეხბურთო სპორტულ კომპლექსში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ბავშვთა სახალისო ფეხბურთის შეჯიბრში, რომელიც მიეძღვნა მურად ანჯაფარიძის ხსოვნას, მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 200-მდე სპორტსმენმა.
- ქ.რუსთავში 15 ივლისს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის და აფხაზეთის რეგიონალური ოლიმპიური ორგანიზაციის მიერ გამართულ სპორტულ მასიურ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 70-მდე აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდმა.

- ქ. თბილისში 23-30 სექტემბერს ჩატარდა სპორტულ-მასობრივი ღონისძიება- „ევროპის სპორტის კვირეული“ (European Week of Sport-Be Active); ღონისძიებაში

მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ ასევე აფხაზეთის სპორტული ფედერაციების გუნდებმა.

- ქ.თბილისში გლდანის სპორტულ კომპლექსში 28 სექტემბერს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, აფხაზეთის რეგიონალური ოლიმპიური ორგანიზაციის მიერ გამართულ სპორტულ მასიურ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო 100-მდე აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდმა.

- გაიმართა გურამ გაბისკირიას სახელობის ტურნირი ფეხბურთში. ტურნირი ჩატარდა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთობლიბად (ნოემბერი).
- გაიმართა მურად ანჯაფარიძის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში. ტურნირი ჩატარდა ერთობლივად სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრთან (ნოემბერი).
- საქართველოს ჩემპიონატზე ფარიკაობაში აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელი (ნატალია ხარაიშვილი) გახდა ტურნირის ჩემპიონი (29-30 დეკემბერი).

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,ოკუპირებული გალის რაიონის ნამდვილი საზღვრების სკოლებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან და სახელოვნებო სკოლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან თანამშრომლობით შეასრულა დასახული ამოცანები და მნიშვნელოვანი დავალებები. კერძოდ:

<u>სამოქმედო ტერიტორიის სასწავლო, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური, ადამიანური და ფინასური რესურსების შესახებ ინფორმაციების მოპოვება და დამუშავება, მოანცემთა ბაზის შევსება - განახლება, ადამიანური რესურსების მართვა</u>

საანგარიშო პერიოდში, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიიდან - ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებადი სკოლებიდან, სკოლამდელი დაწესებულებებიდან და სახელოვნებო სკოლებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დამუშავებული ინფორმაციების მიხედვით:

2017-2018 სასწავლო წლის დასასრულს, გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებდა 30 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მათ შორის: 2 საჯარო, 27 სრული ზოგადი, 1 საბაზო. ირიცხებოდა **4267** მოსწავლე.

- 30-ვე სკოლაში დასაქმებული იყო **954** მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი. მათ შორის: მასწავლებელი- **745,** ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი -**207.** აქედან 27 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და 1 არასრულ სკოლაში - 729 პედაგოგი, 178 ტექნიკური პერსონალი, ხოლო 2 საჯარო სკოლაში(აფხაზეთის N13 და N16 ნაბაკევსა და მეორე ორტობაიაში) - 40 პედაგოგი, 7 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.
- **8 საბავშვო ბაღში** (ქალაქ გალში - 2, სოფელ მზიურში-1, სიდაში-1, ზემო ბარღებში - 1, საბერიოში - ,,ჩეღალში'' – 1, სოფელ საბერიოში - 1, ოქუმში-1)და ქალაქ გალის, ზემო ბარღების, საბერიოს, სიდის სამუსიკო და გალის სამხატვრო სკოლებში დასაქმებულთა შორის ცვლილება არ მომხდარა, **დასაქმებულია სულ 152 პირი.** აქედან **78** პედაგოგი და **74** ტექმუშაკი .
- აღსაზრდელთა რაოდენობამ ბაღებში შეადგინა - 443; სახელოვნებო სკოლებში - 244.

<u>**პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის დაფინანსების პროგრამები**</u>

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **2018 წლის 21 თებერვლის N 182 ბრძანებით** დამტკიცებული **,,ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების'' პროგრამის** შესაბამისად, ფინანსური დახმარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა **906** ბენეფიციარის: **706** მასწავლებლის, **175** ტექნიკური პერსონალის, **25** დირექტორის მონაცემები. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, თითოეულ ბენეფიციარს თანხა ჩაერიცხა პირად საბანკო ანგარიშზე, დროულად ოთხივე კვარტალში (დირექტორს 810 ლარი, მასწავლებელს - 780 ლარი, ტექნიკურ პერსონალს - 522 ლარი).

მეორე ოტობაიასა და ნაბაკევში მოქმედი საჯარო სტატუსის მქონე აფხაზეთის #16 და #13 საჯარო სკოლების **40** მასწავლებელი და **7** ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი დაფინანსდა ყოველთვიურად, ვაუჩერული სისტემის შესაბამისად. დანარჩენი 6 სკოლის აფხაზი დირექტორი არ სარგებლობს დახმარების თანხით.

მ.წ. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს **,,გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის**

პროგრამის”ჯამური რირებულება გაიზარდა, რის შესაბამისად, გალის **5** სახელოვნებო სკოლისა და **8** საბავშვო ბაღის **78** მასწავლებელს და **74** ტექნიკურ პერსონალს **(სულ 152 ბენეფიციარი**) გალის რესურსცენტრის მიერ სამინისტროსათვის მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ბანკის ზუგდიდის ფილიალში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშებზე, ჩაერიცხა კვარტალური დახმარება(300 ლარის ნაცვლად მასწავლებელს 450, ტექპერსონალს - 240 ლარის ნაცვლად - 300 ლარი); ხოლო სოფ. საბერიოს ენგურჰესის დასახლებაში ფუნქციონირებადი საბავშო ბაღ ,,ცისარტყელა”-ს **9** პედაგოგმა და **7**-მა ტექპერსონალმა, პროგრამის შესაბამისად, დახმარების თანხა მიიღო ყოველთვიურად.

სულ 8 საბავშო ბაღის, 1 სამხატვრო და 4 სამუსიკო სკოლის ბენეფიციართა რაოდენობა მ.წ. შეადგენს 152 -ს (78 პედაგოგი, 74 ტექნიკური პერსონალი).

მ.წ. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს **,,გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის”** შესაბამისად, გალის 5 სახელოვნებო სკოლისა და **7** საბავშვო ბაღის **71** მასწავლებელს და **66** ტექნიკურ პერსონალს **(სულ 137 ბენეფიციარი**) გალის რესურსცენტრის მიერ სამინისტროსათვის მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ბანკის ზუგდიდის ფილიალში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშებზე ჩაერიცხა კვარტალური დახმარება (მასწავლებელს 450, ტექპერსონალს - 300 ლარი); ხოლო სოფ. საბერიოს ენგურჰესის დასახლებაში ფუნქციონირებადი საბავშო ბაღ ,,ცისარტყელა”-ს **9** პედაგოგმა და **7**-მა ტექპერსონალმა, პროგრამის შესაბამისად, დახმარების თანხა მიიღო ყოველთვიურად.

სულ 8 საბავშო ბაღის, 1 სამხატვრო და 4 სამუსიკო სკოლის ბენეფიციართა რაოდენობა მ.წ. პირველი კვარტლისთვის შეადგენს 153 -ს (80 პედაგოგი, 73 ტექნიკური პერსონალი).

ბიუჯეტი: 280 800 ლარი.

ხარჯი: 274 080 ლარი.

რესურსცენტრის ჩართულობა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობა ეროვნული გამოცდების, საგნობრივი ოლიმპიადების, ,,გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების ქვეპროგრამა“-ში

ქალაქ ზუგდიდში, აფხაზეთის #1 საჯარო სკოლის ბაზაზე გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა და ამ ცენტრის **(დირექტორი მაია მიმინოშვილი)** ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ზოგადი უნარების, ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ინგლისური და რუსული ენების სპეციალისტებმა გალის რესურსცენტრის მიერ ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით,,,ქალაქ გალის ზონის'' ,,გალის ზედა ზონის'', ,,გალის ქვედა ზონის'', ,,ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონის'' სკოლებში ჩამოყალიბებული ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრების **46 მასწავლებელს** ჩაუტარა კონსულტაციები ერთიან ეროვნულ გამოცდებთან და აბიტურიენტების მომზადებასთან დაკავშირებით, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიოლოგიის და სხვა საგნების პედაგოგებს გადასცა მეთოდური ლიტერატურა, დაუდო ხელშეკრულებები 4 თვის განმავლობაში აბიტურიენტებისათვის უფასოდ ჩატარებული მუშაობის ასანაზღაურებლად. **თანხა 46 მასწავლებელს მიღებული აქვს პირად ანგარიშზე.**

2017-2018 სასწავლო წელს გალის რაიონში სკოლა დაამთავრა **372 მოსწავლემ.** 2018 წლის ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიზნით გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში online რეჟიმში **რეგისტრაცია გაიარა გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სკოლების 264-მა კურსდამთავრებულმა.**

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით და მიღებული შედეგებით საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის **სტუდენტი გახდა 138 კურსდამთავრებული.** მათ შორის **8 აბიტურიენტმა მოიპოვა 50%-იანი სასწავლო გრანტი.**

138 სტუდენტიდან: ლაშა ლეჟავა -გალის N1 საშუალო სკოლის , პაატა ფარულავა - გალის N2 საშუალო სკოლის და ანა აშორტია- ოტობაიის N1 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ჩაირიცხნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებზე, ხოლო დავით გურგენიძე - გალის N2 სკოლის კურსდამთავრებული ჩაირიცხა სან-დიეგოს უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც თავად უნივერსიტეტმა დააფინანსა. აქედან გამომდინარე **სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა მხოლოდ 134 სტუდენტს.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროების მიერ შემუშავებული ინოვაციებისა და პროგრამების ხელშეწყობა

რესურსცენტრში, საანგარიშო პერიოდში, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სკოლების ინფორმირებისა და სხვადასხვა პროექტში, კონკურსსა და ღონისძიებაში ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებელთა ჩართვის მიზნით.

- <u>ეროვნული სასწავლო საგნობრივი ოლიმპიადა</u>

2018 წლის იანვარში ჩატარდა ეროვნული სასწავლო საგნობრივი ოლიმპიადის მეორე ტური. მასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა გალის რაიონის **13** სკოლის **65**-მა მოსწავლემ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნულ სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა **145** გალელი მოსწავლე, მათგან მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა **44-მა%.**

მათემატიკის მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 22-მა გალელმა, მათ შორის 7 ჭუბურხინჯის მე-2 სკოლელია, 5- საბერიოს მე-2 სკოლის მოსწავლე, 3-3 მონაწილე ყავდათ ფიჩორის და ქვემო ბარღების სკოლას, თითო თითო მონაწილე დიხაზურგის და საბერიოს პირველ სკოლას .მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო **12**-მა მოსწავლემ. უნდა აღინიშნოს, რომ ვერცერთი მათგანის ქულა ვერ აცდა ნულს.

- **გერმანულ ენაში** ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ექვს-ექვსმა მონაწილემ დიხაზურგისა და ოტობაიის 1-ლი სკოლიდან.მონაწილეობა მიიღო ოტობაიის სკოლის მხოლოდ 4-მა მოსწავლემ, მაქსიმალური ქულა ვერ აცდა 3-ს, მონაწილეთაგან სამმა მიიღო შეფასება-2.
- **გეოგრაფიის** მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა **7-მა** აპლიკანტმა, თითო -თითო მოსწავლე ჭუბურხინჯის 1-ლი და ფიჩორის სკოლიდან, 2 მონაწილე საბერიოს მე-2 სკოლიდან, 3 მოსწავლე ოტობაიის 1-ლი სკოლიდან. მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო **4-მა** აპლიკანტმა. აღსანიშნავია ოტობაიის სკოლის მოსწავლის გურამ საჯაიას წარმატებები, მან **24** ქულა მოიპოვა, **21** ქულა მიიღო გიგა ხასაიამ, საბერიოს მეორესკოლელმა,ოტობაიის 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა -ლინდა ბახტაძემ და მარიამ ბერაძემ **14** და **13** ქულა მოიპოვეს.
- **ისტორიის** მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ექვსმა მოსწავლემ, რომელთა შორის თითო-თითო ჭუბურხინჯის 1-ლი, ნარინჯოვანის, მე-16 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, სამი გაგიდის სკოლის მოსწავლეა. ნახევარფინალში მონაწილეობა მიიღო **სამმა** აპლიკანტმა. უმაღლეს ქულად დაფიქსირდა **21** და ის გიგა ხასაიამ, საბერიოს მეორესკოლელმა მოიპოვა. **13** ქულა მიიღო ალექსანდრე გაბელიამ - მე-16 საჯარო სკოლა, **12** ქულა ალექსანდრე რიგვავამ ნარინჯოვანის სკოლის მოსწავლემ.

- **რუსული** ენის მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა **29** მოსწავლემ. მათ შორის 12 ოტობაიის 1-ლი სკოლიდან, 7- დიხაზურგის სკოლა, 5- საბერიოს მე-2 სკოლა, 2- ჭუბურხინჯის 1-ლი სკოლა.მაქსიმალური ქულა-**32** მოიპოვა ნინო შონიამ, ნარინჯოვანის სკოლის მოსწავლემ,საბერიოს მეორე სკოლის მოსწავლეებმა გიორგი ციკოლიამ და ნინო ქვაცაბაიამ 31 ქულის მოპოვება შეძლეს, ნარინჯოვანის სკოლის მოსწავლეეებმა სალომე ბურსულაიამ და ანანო ზაქარაიამ 30 და 29 ქულა მიიღეს.
- **ინგლისური** ენის მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ქვემო ბარღების სკოლის ერთმა მოსწავლემ, მაგრამ აფხაზური ადმინისტრაციისთვის მისაღები საბუთის არქონის გამო ვერ გადალახა ე.წ. საზღვარი და შესაბამისად, ვერ მიიღო მონაწილეობა ნახევარფინალში.

- <u>**დისტანციური ტესტირება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში**</u>

თავდაპირველად ტესტირების პროცესში ჩართულ იქნა 433 მოსწავლე გალის რაიონის 17 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან. ჩატარდა ტესტირების პირველი და მეორე ეტაპები.
დონორი ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ინტერნეტ მომსახურებაში არსებული ხარვეზების გამო, მონაწილეთა რაოდენობამ საბოლოოდ შეადგინა სულ 331 . აქედან:

- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" ქართული ენისა და ლიტერატურის ფარგლებში სულ ჩაერთო 101 მონაწილე.
- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" მათემატიკის ფარგლებში სულჩა ერთო 95 მონაწილე.
- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" უნარ-ჩვევების ფარგლებში სულჩაერთო 39 მონაწილე.
- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" ინგლისური ენის ფარგლებში სულ ჩაერთო 51 მონაწილე.
- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" გეოგრაფიის ფარგლებში სულ ჩაერთო 23 მონაწილე.
- კონკურსში "დისტანციური ტესტირებები" ბიოლოგიის ფარგლებში სულ ჩაერთო 20 მონაწილე.

- <u>**მათემატიკური ოლიმპიადა- ,,ევერესტი.“**</u>

მათემატიკურ ოლიმპიადაში ,,ევერესტი“, გაზაფხულის სეზონზე მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა გალის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი 9 სკოლის 170-მდე მოსწავლე. მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდნენ საბერიოს მეორე და

თაგილონის სკოლები, მათ 27-27 მონაწილე ყავდათ. 17 მოსწავლე დარეგისტრირდა გაგიდის სკოლიდან, 16 მონაწილე დარეგისტრირდა მე-16 საჯარო სკოლიდან, ჭუბურხინჯის მეორე სკოლიდან 15 მოსწავლე მონაწილეობდა პირველ ეტაპზე, 14 მონაწილით იყო წარმოდგენილი ოტობაიის 1-ლი სკოლა, 12 მოზარდი მონაწილეობდა ფიჩორის სკოლიდან, 10 მონაწილე ყავდა დიხაზურგის სკოლას, 9 ჭუბურხინჯის პირველ სკოლას. პირველი ტური წარმატებით გაიარა **168** გალელმა უმცროსკლასელმა და მეორე ტურში მონაწილეობდა: **12-მეორეკლასელი, 35 მესამეკლასელი, 46 მეოთხეკლასელი, 32 მეხუთეკლასელი, 43 მეექვსეკლასელი.**

52 მოსწავლეს მიეცა ფინალურ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება.

მათემატიკურ ოლიმპიადა ,,ევერესტის'' ფინალურ შეჯიბრში მონაწილე 52 მოსწავლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით, მე-5 ადგილი მოიპოვა მიხეილ შარიამ - ოკუპირებული გალის რაიონის თაგილონის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ. დაჯილდოების ცერემონიალ სთბილისში, ინოვაციების სახლში (ტექნოპარკში), მ.წ. 20 ივნისს ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია, რესურსცენტრის უფროსის პეციალისტები ლალი ცატავა და სოფიოადამია, თაგილონის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი თორნიკე შარია.

- <u>საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2018</u>

კალათბურთის შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდა სენაკში, აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის ბაზაზე, მონაწილეობა მიიღეს ზემო ბარღების ვაჟების და ოტობაიის N1 საშუალო სკოლის გოგონათა გუნდებმა. ოტობაიის N1 საშუალო სკოლის გოიგონათა გუნდი გადავიდა ფინალში.

- გალის სკოლების 8 მოსწავლე მონაწილეობდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებულ **ჭადრაკის ტურნირში,** ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯარო სკოლის ბაზაზე.

- **კონკურსი „ფოტოსინთეზი“ და ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია - საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის 90 ფინალისტ სკოლათა შორის მესამე ადგილი მოიპოვა ოტობაიის N1 საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა. გუნდის ლიდერი სოფო ძაძუა CENN-ის გადაწყვეტილებით ჩაწერილ იქნა ავსტრიისა და სლოვაკეთის ქვეყნებში პროექტის ფარგლებში წარსაგზავნ ლიდერთა სიაში.**

დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა ქუთაისში, საქართველოს პარლამენტში კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN -ის ორგანიზებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროებთან ერთად . აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მ. ქვაჩახიამ გამარჯვებული **ოტობაიის N1 სკოლა** სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით (ნახატები) დააჯილდოვა.

კონკურსში, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ოტობაიის N1 სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოინაწილეობდნენ თაგილონის საშუალო და ოკუპირებული გალის რაიონის სხვა სკოლების გუნდებიც (თაგილონის საშ. სკოლამ 2017 წელს ,,მწვანე სკოლის'' სტატუსი მოიპოვა).

ფოტოინსტრუქტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით ფოტოტურის მონაწილეებმა გადაიღეს ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების ამსახველი ფოტოები. მოსწავლეებმა წვლილი შეიტანეს მშობლიური სოფლების გარემოსდაცვით საქმეებში.

- **გალის სამხატვრო სკოლის 8 მოსწავლის ნახატი** იქნა გამოფენილი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში. თითოეულ მონაწილეს გადაეცა სიგელი.
- მ.წ. 14-15 აპრილს ქ. ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოწვევით და გალის რესურსცენტრის ორგანიზებით ოტობაიის N1 , საბერიოს N2, ნარინჯოვანის, გაგიდის და თაგილონის საშუალო სკოლების და გალის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს **სააღდგომო ფესტივალში, შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო კონფერენციაში.** მონაწილეები საზგადოების წინაშე წარსდგნენ ნახატებითა და ხელთნაკეთი საგამოფენო ნივთებით, საკონფერენციო თემებით, აფხაზური ცეკვით, ქართულ -აფხაზური სიმღერებითა და ლექსებით და დიდი მოწონება დაიმსახურეს. თითოეულ მონაწილეს, მეუფე გერასიმეს ხელმოწერით, გადაეცა სიგელი სააღდგომო ფესტივალში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის. გადაეცათ ასევე, საიუბილეო ,,ვეფხისტყაოსანი''.

ფესტივალს ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ყოლბაია და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მ. ქვაჩახია. მათ ოკუპირებუილ გალის და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები დააჯილდოვეს წიგნებით.

- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობოთ მომზადდა და აფხაზეთის ა/რ დევნილთა დეპარტამენტს გადაეცა ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების 10 მოზარდის საბუთები ესპანეთის სამეფოში 2 თვით გასამგზავრებლად საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ფინსოლსა'' და აფხაზეთის ა/რ მთავრობას შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე.

ეტალონი 2018 - ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები.

ქალაქ თბილისში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა „ეტალონის“ ინტელექტ -ჩემპიონატი - 2018. ერთმანეთს შეეჯიბრნენ აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების 7 მოსწავლე საბერიოს N2, თაგილონის , ჭუბურხინჯის N2 საშუალო სკოლებიდან. პირველ ათეულში მოხვდა საბერიოს N2 საშუალო სკოლის მოსწავლე მეგი ქვაცაბაია, ფინალში გავიდნენ საბერიოს N2 საშუალო სკოლის მოსწავლე ვიკა მარხულია და თაგილონის საშუალო სკოლის მოსწავლე ჯესიკა არქანია. ქალაქ თბილისში, 26 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართა ეტალონი - 2018, სადაც საქართველოს საჯარო სკოლების გამარჯვებულ მოსწავლეთა შორის მონაწილეობდა აფხაზეთის სკოლების მოსწავლეთა შორისგამარჯვებული ჯესიკა არქანია.
ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე, გალის რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია.

- **იუსტიციის სასწავლო ცენტრის მათემატიკის ოლიმპიადა - 2018**

მონაწილეთაგან საუკეთესო შედეგები მიიღეს მოსწავლეებმა: მარიამ სოსელიამ, ლუკა მარხულიამ, თამარ ოყუჯავამ, ანანო ადამიამ. ივლისში ეს მოსწავლეები 10 დღით გაემგზავრნენ ყვარლის სასწავლო ცენტრში ტრენინგებში მონაწილეობისა და დასვენების მიზნით.

- **<u>საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2018</u>**

მინი ფეხბურთსა და კალათბურთში ჩატარდა შეჯიბრებები სენაკსა და ქუთაისში. მონაწილეობდნენ ზემო ბარღებისა და ოტობაიის N1 საშუალო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები და კალათბურთელები.

- **,,სპორტი ბარიერების გარეშე” ფესტივალის (მინი ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, სპრინტი) გამარჯვებულები:**

კალათბურთი - ვაჟები - ზემო ბარღების საშუალო სკოლა.

კალათბურთი - გოგონები - ოტობაიის N1 საშუალო სკოლა.

ჭადრაკი - თაგილონის საშუალო სკოლა.

სპრინტი - განახლების საბაზო სკოლა.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ფედერაციის მიერ გამარჯვებული მოსწავლეები გაემგზავრნენ **ანაკლიის „მომავლის ბანაკში.“**

- <u>ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა</u>

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და აფხაზეთის რაგბის ფედერაციის (პრეზიდენტი სანდრო ესაკია) უთიერთთანამშრომლობით გალის რაიონის გაგიდის, ფიჩორისა და საბერიოს N2 საშუალო სკოლების მოზარდების შემადგენლობით (პედაგოგები ნუკრი შონია, ნიკა დვალი) შეიქმნა ნორჩ რაგბისტთა გუნდი. მ.წ. 2-3 ივნისს რაგბისტები მონაწილეობდნენ ასპინძის რაგბისტთა ბაზაში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტის სამსახურისა (უფროსი ვიტალი ბენდელიანი) და რაგბის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარებულ 2-დღიან ფესტივალში. მონაწილენი დაჯილდოვდნენ რაგბის ბურთებით.

რაგბის ფესტივალს ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტის სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი, გალის რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია.

- ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯარო სკოლის ბაზაზე აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ ჭადრაკის რეგიონალურ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა მიიღო თაგილონის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.
- მ.წ. 20 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და აფხაზეთის რაგბის ფედერაციისა და გალის რესურსცენტრის მხარდაჭერით (ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, „ხვამლი-არენაზე“) რაგბის ფესტივალი ჩაატარა. ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა
რეგიონის მორაგბეთა შემდეგი გუნდები: აფხაზეთი (ფიჩორის, საბერიოს N2 და სიდის საშუალო სკოლები), ზუგდიდი, ხვამლი, ხვამლი 2, წიქარა - თბილისი, ავჭალა (თბილისი), თბილისის აკადემია - 1, თბილისის აკადემია - 2, ჩოხოსნები (თბილისი), რაგბის კლუბი „არმია“, სულ 200-ზე მეტი მოზარდი.

<u>კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა</u>

2018 წლის 5-6 მაისს გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საქართველოს ძეგლთა დაცის სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობით, ამავე სააგენტოსა და

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე, პროექტის **,,ჩემი კულტურული მემკვიდრეობა"** ფარგლებში, ქალაქ სენაკში, სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა მეგობრული შეხვედრა - კონცერტი, სადაც შესრულდა ქართულ აფხაზური ცეკვები და სიმღერები, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალსა და მარტვილის ტაძრის ეზოში - საბავშვო არქეოლოგიის გაკვეთილები და საუბრები ხელოვნებაზე, ფოლკლორულ საგანძურზე, არამატერიალურ ძეგლებზე და მათ მოვლა-პატრონობაზე. პროექტში მონაწილეობა მიიღეს გალის რაიონის ოტობაიის N1 (მგალობელთა ტრიო), გაგიდის (დეკლამატორები და მოცეკვავეები) და საბერიოს N2 საშუალო (ქორეოგრაფიული ანსამბლი დიოსკურია'') სკოლების მოსწავლეებმა. პროექტის მხარდამჭრები იყვნენ:

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო;
- საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო;
- სენაკის მუნიციპალიტეტი;
- სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა;
- ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი.

- 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს, საბერიოს N2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,დიოსკურია'' აფხაზეთის საჯარო სკოლებთან ფუნქციონირებად ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდა ფოლკლორულ ფესტივალში. იგი დაჯილდოვდა სიგელით ,,აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს რჩეული ''.
- 29 ივნისს ანსამბლი ,,დიოსკურია'' მონაწილეობდა ბათუმში ჩატარებულ ფესტივალში ,,არგო-2018'', სადაც მიიღო გრან-პრი. ანსამბლი მომავალი წლისთვის მიწვეულია ბულგარეთში, ფესტივალში მონაწილეობისთვის.
- 19-23 ივნისს, ახალგაზრდა პოეტის დათა გულუას ხსოვნისადმი მიძღვნილ, აფხაზეთის სულიერების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობისა და პოეტური ნამუშევრების წარმოდგენისთვის, თბილისსა და ზუგდიდში დაჯილდოვდნენ: სოფიკო ძაძუა-ოტობაიის N1 სკოლა, ტაბაღუა, ცხუცხუბაია და სოსელია საბერიოს N1 საშუალო სკოლებიდან.
- 1-2 დეკემბერს 12 სკოლადამთავრებული ახალგაზრდა , ოკუპირებული გალის ტერიტორიიდან, იქნა ჩართული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალ პროგრამაში ,,გადამზადება IT მიმართულებით'' (პროგრამის ფარგლებში რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები იმ ცოდნას დაეუფლებიან, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ ვებგვერდის ფუნქციონირების პრინციპებში გაერკვნენ, თავად ააწყონ სტატიკური

ვებგვერდი ან საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანონ არსებული ვებგვერდის პროგრამულ კოდში, დაგეგმონ და მენეჯმენტი გაუწიონ ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. პროექტის მიზანია, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განათლების დონის ამაღლება, ასევე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების შესწავლის ხელშეწყობა. შესაბამისად, გადამზადების დასრულების შემდეგ, მონაწილეები კონკრეტული მიმართულებით დასაქმებასა და სხვადასხვა პროექტების შესრულებას შეძლებენ).

- 4 სტუდენტი (გალის სკოლების კურსდამთავრებულები) ნოემბერ-დეკემბრში ჩართულ იქნა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის კურსებში ,,ფინანსური მოდელირება ექსელში''.

<u>საზაფხულო ბანაკები</u>

- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობით მომზადდა და აფხაზეთის ა/რ დევნილთა დეპარტამენს გადაეცა ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების 10 მოზარდის საბუთები ესპანეთის სამეფოში 2 თვით გასამგზავრებლად, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ფინსოლსა'' და აფხაზეთის ა/რ მთავრობას შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე. ეს მოზარდები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ სხვა 8 ბავშვთან ერთად 6 ივლისიდან 2 სექტემბრის ჩათვლით დაისვენებენ ესპანეთის სამეფოში, მადრიდში, ,,ფინსოლის'' მიერ წინასწარ შერჩეულ ოჯახებში.
- ასევე, მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა წყნეთში ,,ინგლისური ენის საზაფხულო ბანაკი '', კაჭრეთში ,,დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად'', სალიბაურში ,,ეკობანაკი '' და ანაკლიაში ,,მომავლის ბანაკი '' დასასვენებლად წარსაგზავნ მოზარდთა სია (50 – 50 თითოეულ ბანაკში).
- მომზადდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვიდობო (ზღვისპირეთი აჭარაში-10 მოსწ.) და არქეოლოგიურ ბანაკებში (ნოქალაქევი - 6 მოსწ.) გასაგზავნ მოსწავლეთა სიებიც.

ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიულ დონისა და მოტივაციის ამაღლებაზე.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის **,,ჩემი პირველი კომპიუტერი ''** ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პირველი კლასების **37** მასწავლებელს გადაეცა ნეთბუკი (ACER).

- დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის სკოლებს თებერვალში გადაეცა 2017 წლის ბოლოს მიღებული ,,ანბანთქება'' - დამხმარე ლიტერატურა მშობლიური ენის შესასწავლად.
- საანგარიშო პერიოდში შედგა სამუშაო შეხვედრა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ოკუპირებუილი გალის რაიონის საბავშო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ,, ოკუპირებული გალის რაიონის პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების'' პროგრამის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები ; დაისახა გეგმები თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.
- **,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი- საქართველო''** ინიცირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა განახორციელა სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების მასშტაბური პროექტი, რომელშიც ჩართულ იქნა ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე, ნაბაკევსა და მეორე ოტობაიაში საჯარო სკოლების სტატიუსით ფუნქციონირებადი 2 სკოლა: აფხაზეთის N13 (ნაბაკევი) და აფხაზეთის N16 (მე-2 ოტობაია) - დირექტორები და მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის , ქიმიის, გეოგრაფიის და ინგლისური ენის პედაგოგები.
- **მ.წ. აპრილ - მაისში ,,მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში"** ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა ტრეინინგი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ოკუპირებული გალის რაინი სტერიტორიაზე განთავსებული აფხაზეთის #13 და აფხაზეთის #16 საჯარო სკოლის ცალკეული საგნის 13 პედაგოგი.
- **12 მაისს, ქ. ზუგდიდში, გალისრაიონის 25-მა პედაგოგმა** მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯაროსკოლის ბაზაზე, საერთაშორისო ორგანიზაცია CENN-ის მიერ ჩატარებულ ტრეინინგებში.
- ეროვნული გამოცდებისათვი სმოსამზადებელი ცენტრების 46 მასწავლებელს ჩაუტარდ აკონსულტაციები სხვადასხვა საგანსა და გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- <u>,,ჩემიპი რველი კომპიუტერი ''</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე, გამოვლინდა გალის N1, N2 და საბერიოს N2 საშუალო სკოლის 6 წარჩინებული ცხრა კლასდამთავრებული მოსწავლე.

- <u>მედალი - 2018</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საინისტროს პროგრამის ფარგლებში გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა შორის , აკადემიური მოსწრებით, გამოვლინდა 7 ოქროსა და 3 ვერცხლის მრდალოსანი.

ჩართულობა ჯანმრთელობის დაზღვევისა და სახელმწიფო პროგრამაში

ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პედაგოგები რესურსცენტრის მიერ მონაცემთა ბაზაში შეტანილი ყოველკვარტალური კორექტირების შედეგად ჩართულები არიან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში. საანგარიშო პერიოდში დაზღვეულია **706** მასწავლებელი.

<u>ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 147-ე ბრძანების ,,ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესი'' შესაბამისად პირველ კვარტალში ჩატარდა შვიდი სხდომა. ჩატარებული სხდომებიდან გამომდინარე კომისიის მიერ აღიარებულ იქნა 33 ბავშვის მიერ მიღებული განათლება. მათ შორის:

სრული ზოგადი- 264;
საბაზო განათლება-16;
ცალკეული კლასი - 19.

დაკვირვება ოკუპირებულ გალის რაიონში მიმდინარე პროცესებზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ზემდგომი ორგანოების ინფორმირება

გალის რესურსცენტრმა საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიადევნა თვალი ოკუპირებულ ტერიტორიასა და საზღვრისპირა სოფლების სკოლებში მიმდინარე პროცესებს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, დაუყოვნებლივ მოამზადა და ზემდგომ ორგანოებს მიაწოდა ინფორმაცია სათანადო რეაგირებისათვის.

- გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებში 14 ივნისს დამთავრდა მე-11 და მე-9 კლასებში დანიშნული გამოცდები. გასულ წლებში მე-11 კლასელები აბარებდნენ 5 გამოცდას, მე-9 კლასელები - 4-ს. მიმდინარე წელს თავდაპირველად 4-4 გამოცდა დანიშნეს ორივე დამამთავრებელ კლასში, მაგრამ აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, წელს მეხუთე გამოცდაც დაამატეს აფხაზურ ენაში: 1. რუსული წერა 2. ქართული წერა - წაკითხულის შინაარსი; 3. მათემატიკა; 4. აფხაზეთის ისტორია; 5. აფხაზური ენა.
- საერთო ვითარება კვლავ დაძაბულია. ადგილობრივი ადმინისტრაცია სკოლებს ემუქრება ქართველი დირექტორებისა და პედაგოგების ,,კომპეტენტური'' აფხაზი კადრებით ჩანაცვლებაში. 30 სკოლიდან 7-ს უკვე აფხაზი დირექტორი ჰყავს.
- სკოლების პედაგოგებს, როგორც მოსახლეობის სხვა ფენას, აიძულებენ, ჩააბარონ აფხაზური პასპორტები (ვისაც აქვს) და შეავსონ ანკეტა ბინადრობის უფლების აღებაზე. თუ ვინმე იტყვის, რომ არაა საქართველოს მოქალაქე და ჩააბარებს განცხადებას აფხაზეთის მოქალაქეობაზე, აფხაზურ პასპორტზე, საქართველოს მოქალაქეობის გამომჟღავნების შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ემუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.
- თავიდანვე აღნიშნავდნენ, რომაფხაზური პასპორტი გალის რაიონში 26 000 ადამიანზე იყო გაცემული. მას შემდეგ ბევრს წაართვეს, ბევრსაც ვადა გაუვიდა. ამ საკითხზე კონკრეტული მონაცემების დადგენა შეუძლებელია. გადმოსასვლელად საჭირო მე-9 ფორმის ვადის გასაგრძელებლად ხალხს საკმაო თანხის გაღება უწევს.
- დანიის ლტოლვილთა საბჭომ დატოვა ქალაქი გალი და გადაინაცვლა ტყვარჩელის რაიონს მიკუთვნებულ კონსტიტუციის ტერიტორიაზე, ყოფილი ,,კანტორის'' შენობაში. ამ ფაქტმა გაანაწყენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნადარაია. მან მშობლებს კატეგორიულად აუკრძალა, არცერთი ბავშვი არ გაუშვან დანიის საბჭოს ეგიდით ორგანიზებულ საბავშვო ბანაკებში აფხაზეთის მასშტაბით, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებიან.
- მიმდინარე კვარტალში ჩატარებული დაკვირვებებისა და ანალიზის შედეგად, მომზადდა და ზემდგომ ორგანოებს გადაეცა სტატისტიკური მონაცემები წლების მანძილზე მოსწავლეთა კონტინგენტში მომხდარი ცვლილებებისა და საზღვრისპირა სოფლების ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მიზნით მოსწავლეთა გადაადგილების შესახებ (იხ. მომდევნო გვერდებზე):

ს ა	**2**	**2**	**2**	**2**	**2 0**	**2 0**	**2 0**	**2 0**	**2 0**	**2 0**	**2 0**	**2**	**2 0**

სწ. წელი	005-2006	006-2007	007-2008	008-2009	09-2010	10-2011	11-2012	12 2013	13-2014	14-2015	15-2016	016-2017	17-2018
მოსწ.	3898	3852	4212	4214	4161	4213	4197	4380	4431	4459	4460	4363	4267

სტატისტიკა - მოსწავლეთა კონტინგენტი 2005-2018 წლებში

2014-2015 სასწავლო წლის შემდეგ მოსწავლეთა კონტინგენტმა გალის რაიონის სკოლებში კლება დაიწყო. მიმდინარე 2017-2018 სასწავლო წელი გასულ სასწავლო წელთან შედარებით 96-ით ნაკლებმა მოსწავლემ დაამთავრა(4363-4267=96). ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეთა მშობლების ნაწილი ოჯახური პირობების გამო ტოვებს მშობლიურ სახლ-კარს გალის რაიონში და საცხოვრებლად გადმოდის ენგურს აქეთ, ნაწილი კი განცხადებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ მისმა შვილმა რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლის გამო ვერ დაძლია სასწავლო პროგრამა, ამიტომ, სურს ბავშვს სწავლა გააგრძელებინოს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ქართულ საჯარო სკოლაში.

სტატისტიკა საზღვრისპირა სკოლების შესახებ

N	**სკოლის დასახელება**	**2014-2015 სასწ. წელი**	**2016-2017 სასწ. წელი**	**2017-2018 სასწ. წელი**
1	წალენჯიხა - წყოუშის9-წლიანისაჯარო	18	8	10
2	წალენჯიხა- ფახულანის	13	5	5

	#2 საჯარო			
3	ზუგდიდი-განმუხურის საჯარო	15	10	3
4	ზუგდიდი-დარჩელის #1 საჯარო	3	2	2
5	ნაბაკევის (აფხაზეთის #13 საჯარო-ოკუპ. ტერიტ.)	7	4	0

როგორც ამ სტატისტიკიდან ირკვევა, ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართულ საჯარო სკოლებში გადმომსვლელ მოსწავლეთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლის შემდგომ

იმის გამო, რომ ე.წ. საზღვარზე შეუძლებელია ყველა სკოლიდან პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ყველა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ წერილობითი ინფორმაციის ხელით გადმოტანა, წლების განმავლობაში თვალს ვადევნებთ და ვაანალიზებთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, რაც გვაძლევს ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში არსებული განათლების აკადემიური დონის შეფასების შესაძლებლობას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყების პირველი წლებიდან 2008 წლამდე, **ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებისათვის მიკუთვნებულ სკოლებში** მეტნაკლებად იყო შესაძლებელი ქართულენოვანი სწავლება, რაზედაც აფხაზური ადმინისტრაცია ასე თუ ისე თვალს ხუჭავდა. აქედან გამომდინარე, ერთიანი ეროვნული გამოცდების მშობლიურ ენაზე ჩამბარებელთა რაოდენობაც ამ ზონების სკოლებიდან მეტი გახლდათ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი მათი რაოდენობა თანდათან შემცირდა. ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ,,ზონების'' კურსდამთავრებულების ნაწილი სასწავლებლად სოხუმში მიდის, მცირე ნაწილი სწავლას აგრძელებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

გალის რაიონის სკოლების აბიტურიენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად რუსულ ენას აბარებს, სავალდებულო ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქულები რუსულთან შედარებით საკმაოდ დაბალია. მაგალითისათვის ავიღოთ 2014 -2017 წლების შედეგები:

ქართული ენისა და ლიტერატურის და რუსული ენის შედეგები (ნედლი ქულები)

უმაღლესი ქულა	**2014 წელი (147 აბიტ.)**	**2015(190 აბიტ.)**	**2016(204 აბიტ.)**	**2017 (240 აბიტ.)**
ქართული ენა და ლიტ.	71	69	63	69
რუსული ენა	**98**	**100**	**97**	**89**
ყველაზე მინიმალური ქულა ქართულში	**7**	**6**	**3**	**6**
ვერ გადალახა ბარიერი ქართულში	**17 (10%)**	**20 (10,63%)**	**25 (12%)**	**40 (17%)**
ვერ გადალახა ბარიერი რუსულში	**7.5%**	**27-მა (14%)**	**17 (10%)**	**26 (12%)**

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სხვადასხვა საგნის მასწავლებელი სავალდებულო და არჩევით საგნებში, 2013 წლიდან ამზადებს მოსწავლეებს მშობლიურ ქართულ ენაზე. აბიტურიენტებს უფლება აქვთ რუსულ ენაზე ჩააბარონ არჩევითი საგნები და ზოგადი უნარები. მაგრამ ისინი მაინც არჩევენ აღნიშნული საგნები ქართულ ენაზე ჩააბარონ. საკმაოდ მრავლადაა აბიტურიენტი, რომელიც ვერ გებულობს ტერმინოლოგიას ქართულ ენაზე. ამის გამო, მაგალითად, ზოგად უნარებში აკლდება მხოლოდ 1 ქულა და რჩება კონკურსგარეთ.

მიმდინარე 2018 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია პირველადი მონაცემებით გაიარა და ეროვნულ გამოცდებზე გავიდა **243 აბიტურიენტი. აქედან, მხოლოდ 28 აბარებს არჩევით საგნებს და უნარებს რუსულ ენაზე, დანარჩენი-ქართულად.**

ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკა

ეროვნული გამოცდების ჩატარების წელი	2005 წელი	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	სულ
კურსდამთავრებულები	280	269	270	334	305	315	309	223	239	272	339	348	362	3865
დარეგისტრირდა	76	142	139	266	147	192	198	156	146	147	190	205	211	2214
ჩაირიცხა	42	44	25	211	92	90	126	71	60	86	90	84	120	1137
დაფინანსდა ოც. პრ	42	44	22	191	92	83	77	71	58	82	87	84	116	1049

ოგ რა მი თ														

UNICEF -ის მიერ სკოლებისათვის მიწოდებული ნივთები:

- გალის რაიონის ომამდელი საზღვრების **სკოლებში ჩატარებული ზეპირი გამოკითხვით** დადგინდა, რომ ტყვარჩელში დირექტორებისათვის და მასწავლებლებისათვის (ცალ-ცალკე) 2016-2017 წლებში, სხვადასხვა დროს, რუსულ ენაზე ჩატარდა ტრენინგები გაკვეთილების მეთოდოლოგიაზე (ტრენერი კორეელი ქალბატონი **ჰოა**).
- ამ ტრენინგების შემდეგ **ტყვარჩელის მხარეში მოქცეულ სკოლებს** (ოქუმი, წარჩის N1, წარჩის N2, ჩხორთოლი, რეჩხი, რეჩხი-ცხირი, ნარინჯოვანი, ღუმურიში, კოხორა) გადასცეს: თითო ცალი კომპიუტერი, პროექტორი, ეკრანი, მაგნიტური დაფები, თვალსაჩინო მასალები რუსულ ენაში, ინგლისურში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში, რუკები. საკანცელარიო ნივთები: ქსეროქსის ქაღალდები, ფანქრები, სახაზავები, კალმები, ფლომასტერები...
- ტყვარჩელის სკოლებისათვის ტექნიკის გადაცემამ გაანაწყენა გალის სკოლების დირექტორები. მათ ხაზგასმით გამოხატეს უკმაყოფილება, რის შემდეგაც მიიღეს საკანცელარიო ნივთები: 2-3 შეკვრა ქსეროქის ქაღალდი, 3 ან 4, ან 5 მაგნიტური დაფა (ზოგს როგორ), მარკერები...
- გალის სკოლები აღნიშნავენ, რომ კომპიუტერული ტექნიკა **UNICEF**-ისგან არ მიუღიათ.მათ სხვადასხვა დროს დახმარება აღმოუჩინეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა: WORLD VIZZION (აფხაზი რიტა ბასარია, გალელი ნიკა კვეკვესკირი) დანიის ლტოლვილთა საბჭომ (ვინსენტ დონტონტ) ACF-მა, ,, дом юношество''-მ.
- მაგალითად, WORLD VIZZION-მა ზოგიერთ სკოლაში გახსნა სოციალური ოთახი, ზოგში ახალგაზრდული კლუბი, ზოგშიც ამბულატორია სოფლისთვის, გაარემონტა სასკოლო ბუფეტები, ზოგიერთი სკოლის სპორტდარბაზი, გადასცა ტექნიკა და სხვა.
- ძალიან კმაყოფილები არიან დანიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით, სარემონტო სამუშაოების ჩატარებით რეჩხის, წარჩის N2, რეჩხი -ცხირის, კოხორის და სხვა სკოლები.
- UNICEF-ის მიერ სკოლებისათვის საკანცელარიო ნივთებით ერთჯერადი დახმარება არასაკმარისია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გალის სკოლებისათვის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებულ და დაგეგმილ

პროგრამას- ,,გალის სკოლებისათვის საკანცელარიო ნივთების გადაცემას'', რაც სკოლებს აძლევს საშუალებას გააუმჯობესონ საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა, მოაწესრიგონ სასკოლო საბუთები და სხვა.

სწავლების ენა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში

ტყვარჩელის, ოჩამჩირის, თავად გალის რაიონის ,,ზედა და ქვედა ზონებად'' დაქუცმაცებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებად სკოლებში ვითარება უკიდურესად გამწვავებულია. კერძოდ:
ტყვარჩელის რაიონში მოქცეულ 10 სკოლაში კვლავ აკრძალულია არა მარტო ქართულენოვანი სწავლება, არამედ მშობლიურ ენაზე საუბარიც კი. ყველა საგანი ისწავლება რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის განკუთვნილი რუსული ძვირადღირებული სახელმძღვანელოებით.

საანგარიშო პერიოდში ვითარება არ შეცვლილა ,,ტყვარჩელისა და ოჩამჩირის, გალის ,,ზედა ზონაში'' . ამ ზონების 19 სკოლასა და 6 საბავშვო ბაღში სწავლება რუსულენოვანია. მშობლიურ ქართულ ენას და ლიტერატურას I-XI კლასებში ისევ 1-1 საათი ეთმობა.

გალის ,,ქვედა ზონის'' უკვე 10 სკოლის I-VI კლასებში ქართულ ენას, როგორც რიგით საგანს, ეთმობა 1 საათი, ლიტერატურას - 2 . სხვა საგნები რუსულად ისწავლება. დამამთავრებელ კლასებში, ისევე როგორც ,,ზედა ზონაში'' მშობლიურ ენას და ლიტერატურას თითო საათი ეთმობა, რაც ხელს უშლის მდიდარი პროგრამული მასალის ათვისებას. ამ ზონის 2 საბავშვო ბაღიც (სიდასა და ზემო ბარღებში) იძულებულია მუშაობა წარმართოს რუსულ ენაზე. 2018-2019 სასწავლო წლიდან რუსულენოვან სწავლებაზე გადავა ამ ზონის მე-7 კლასიც, რაც ქვედა ზონის სკოლების მთლიანად რუსულენოვან სწავლებაზე გადაყვანის დასტურია. **4 წელიწადში გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში არც ერთი ქართული სკოლა და კლასი არ იარსებებს.**
მიმდინარე ეტაპზე, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, გალში აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან მიმდინარეობს მე-7 კლასის მასწავლებელთა გადამზადება რუსულ ენაზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ოკუპრებული გალის რაიონის სკოლებიდან ჩააბარა **263 აბიტურიენტმა.**

საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის **სტუდენტი გახდა 136**. მიმდინარეობს განაცხადების მიღება სოციალური სასწავლო გრანტით დაფინანსებასთან დაკავშირებით.

დავით გურგენიძე- გალის N2 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ჩაირიცხა სან - დიეგოს უნივერსიტეტში, **სამოქალაქო ინჟინერიის ფაკულტეტზე.** ეს სტუდენტი ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში მიიღებს სრულ დაფინანსებას.

გალის რაიონის 30-ვე სკოლას, აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით, რესურსცენტრმა გადასცა 10381.22 ლარის სახვადასხვა დასახელების **საკანცელარიო სასკოლო ნივთები.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე, ოკუპირებული გალის რაიონის 30-ვე სკოლის პირველკლასელისა და მათი დამრიგებლებისთვის გადმოგვეცა **424 ნეთბუკი.** კომპიუტერები გადაეცა 28 სკოლას და მათ დამრიგებლებს. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს ნეთბუკების გადაცემა ქალაქ გალში ფუნქციონირებადი N1 და N2 სკოლების მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლებისთვის.

გალის რაიონის სკოლებს ახალი სასწავლო წლისთვის გადაეცა **I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები** ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიასა და ინგლისურ ენაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 147-ე ბრძანების **,,ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესი**'' შესაბამისად, მეორე კვარტალში ჩატარებულ სხდომებზე , კომისიის მიერ აღიარებულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბავშვების მიერ მიღებული განათლება. მათ შორის:

სრული ზოგადი	**საბაზო განათლება**	**ცალკეული კლასი**
22	11	55

ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი.

2018 წლის 16-18 თებერვალს ქალაქ გურჯაანში ჩატარდა საქაართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2003-2005 წლიანებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოდორელმა მოჭიდავეებმა.

2018 წლის 17 თებერვალს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა „ეტალონი-2018"-ის კონკურსისთვის შესარჩევი

ტური, მონაწილეობა მიიღო 8-11 კლასის თვრამეტმა მოსწავლემ, შეირჩა 12 მოსწავლე.

2018 წლის 24 თებერვალს, კერძო სკოლა „იბერიაში“ ჩატარდა ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“, ზემო აფხაზეთის „ეტალონი მოსწავლე“ გახდა მე-10-ე კლასის მოსწავლე მარიამ ჩოფლიანი.

ზემო აფხაზეთის მოსწავლეებმა 1993 წლის 16 მარტს გუმისთასთან დაღუპული მებრძოლების ახლობლებთან ერთად, გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი. (გუმისთასთან ბრძოლაში დაიღუპა 9 კოდორელი ახალგაზრდა).

დევნილმა 5-7 კლასის თექვსმეტმა მოსწავლემ, გამოვლინდა 5 ფინალისტი.

2018 წლის 16-17 მარტს ქალაქ რუსთავში ჩატარდა ქვემო ქართლის ღია რეგიონალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოდორელმა მოსწავლეებმა, ლუკა გურჩიანმა მეორე ადგილი დაიკავა.

2018 წლის 24-25 მარტს აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ა. მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 2003-2005წწ. დაბადებულთა შორის. ლუკა გურჩიანმა იასპარეზა 35 კგ წონით კატეგორიაში და დაეუფლა ოქროს მედალს.

2018 წელს ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირდა 24 მოსწავლე.

14 აპრილს დედაენის ბაღში ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. რომელშიც მონაწილეობა მიიღო ზემო აფხაზეთიდან დევნილმა 6-10 წლის ასაკის 28 მოსწავლემ. მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

21 აპრილს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა პრეოექტ ,,ერუდიტის“ შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 28 მოსწავლემ. შეირჩა 5 ფინალისტი

25 აპრილს ქალაქ გორში ჩატარდა ხინჩიგაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 35 კგ წონითი კატეგორიის გამარჯვებული გახდა ზემო აფხაზეთიდან დევნილი ლუკა გურჩიანი.

5 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა პროექტ ,,ერუდიტი“-ის შესარჩევი ტური. მონაწილეობა მიიღო 22 მოსწავლემ. მათგან შეირჩა 5 ფინალისტი.

12 მაისს ქ. თბილისში პროფსასწავლებელ ორიენტირში ჩატარდა პროექტ ,,ერუდიტი-2018“-ის ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წინასწარ შერჩეულმა 15-მა ფინალისტმა. მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

2 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ზემო აფხაზეთიდან დევნილი 6-12 წლის ასაკის 100 მოსწავლე იმყოფებოდა მთაწმინდის პარკში, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაში.

9 ივნისს ზემო აფხაზეთიდან დევნილი 6-12 წლის ასაკის 100 მოსწავლე დაესწრო თბილისის ცირკში გამართულ წარმოდგენას.

16-17 ივნისს ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ზემო აფხაზეთიდან დევნილი მე-6 -მე-11 კლასის 26 მოსწავლე იმყოფებოდა ლაშქრობაზე, ოკაცეს კანიონში.

26 ივნისს რუსთაველის თეატრში ჩატარდა ,,ეტალონი 2018“ ის ფინალი. მასში მონაწილეობა მიიღო ზემო აფხაზეთის ,,ეტალონმა“ მოსწავლემ, მარიამ ჩოფლიანმა.

ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტთან ერთად ყოველწლიურად ატარებს ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტ „ერუდიტს“. შესარჩევი ტურები ტარდება ქალაქ ქუთაისში, თბილისსა და ს. წინწყაროში, შეირჩევა ხუთ-ხუთი მოსწავლე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფინალში და დასაჩუქრდებიან ფასიანი საჩუქრებით. ტესტები ამ პროექტისთვის მომზადდა ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსაცენტრის თანამშრომლების მიერ.

ივლისის დასაწყისში, ზემო აფხაზეთის სპორტ-სკოლის 21 მოსწავლე სპორტულ-გამაჯანსაღებელი წვრთნებისთვის 8 დღით იმყოფებოდა გონიოში.

3-4 აგვისტოს 14 წლიდან 17 წლამდე 24 მოსწავლე იმყოფებოდა ლაშქრობაზე ფიტარეთში.

2018 წლის ეროვნულ გამოცდებზე, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში 21 აბიტურიენტიდან ჩაირიცხა 18. მათგან ორი - ნიკო ცალანი და ვახტანგ კორძაია, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უფასო ფაკულტეტზე.

ჩარიცხულთაგან ანანო გუჯეჯიანმა მოიპოვა 70% იანი გრანტი, ხოლო ფიქრია სუბელიანმა და დავით გვარმიანმა 50% - იანი დაფინანსება.

2018-2019 სასწავლო წელს პირველ კლასში წავიდა ზემო აფხაზეთიდან დევნილი 49 მოსწავლე. რომელთაც, აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის დაფინანსებით დაურიგდათ ჩანთები.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ლუკა გურჩიანი იმყოფებოდა საერთაშორისო ტურნირზე 2004-2005-2006 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის ქალაქ ბაქოში.

30 ოქტომბერს დაჩი და გაბრიელ პირველებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის

ჭადრაკის ჩემპიონატში, გაბრიელ პირველმა მოიპოვა მეორე ადგილი.

17 ნოემბერს ზემო აფხაზეთიდან დევნილი 6-10 წლამდე ასაკის 80 მოსწავლე აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის დაფინანსებით იმყოფებოდა თბილისის ცირკში.

19 ნოემბერს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამისტრომ მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით გამართა ღონისძიება, სადაც კოდორის ხეობიდან წარდგენილი იყო აჟარის საჯარო სკოლის მასწავლებელი ციური მიქიანი, რომელიც დაჯილდოვდა სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით.

როგორც მოგეხსენებათ, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ზემო აფხაზეთიდან დევნილი 20 მოსწავლე სწავლობს უშიკიშვილის ფოლკლორის სტუდიაში, 30 ნოემბერს ეს მოსწავლეები მიწვეულ იყვნენ ტელეკომპანია რუსთავი-2 -ის გადაცემა „დღის შოუ“-ში, სადაც შეასრულეს სვანური საფერხულო სიმღერები.

23 დეკემბერს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში ჩატარდა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეების მონაწილეობით.

27-28 დეკემბერს ზემო აფხაზეთიდან დევნილი 6-12 წლამდე ასაკის 32 მოსწავლე დაესწრო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საახალწლო სპექტაკლს.